ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 19 – 20 მაისი, 2018

№117 (7662)

ფასი: 50 თეთრი

## რა ქონებას ფლობენ მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეები, რომელთა ანაზღაურებაც „პრეზიდენტის ხელფასს სამჯერ აღემატება“



გვ.4

18 მაისიდან

ვიქტორ სუვოროვი

აკვარიუმი

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

# „საქართველოში ნარკოტიკების გავრცელების 3 წყარო არსებობს“



გვ.2

## გიორგი გახარია: „ფონიჭალაში 10 კგ ნარკოტიკი ამოვიღეთ“

## ვინ დგას ფაშისტური ორგანიზაციების უკან

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „მათი საქმიანობა შსს-მ და პროკურატურამ უნდა შეისწავლოს“





გვ.4

## გელა ნიკოლაიშვილი: „პოლიციას ღამის კლუბებში ოპერაციის ჩატარების უფლება ჰქონდა“



გვ.5

## ოკუპირებულ აფხაზეთში გერმანული ინვესტიციები შედის

ლავროვის მიმართვა ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი

**სამართალი** გვ.7

## გურამ ფალავანდიშვილი: „მოფაშისტო ელემენტები“ ჩვენთვის მიუღებელია“



## მე-8 კლასელმა გოგონამ მე-9 კლასელი ბიჭი დაჭრა

რა მოხდა 87-ე სკოლაში



## შეყვარებულის სასტიკი მკვლელობა თემქაზე — ლადო გრიგალაშვილს ბრალი დაუმძიმდა



**ეკონომიკა** გვ.6



## საცალო ქსელში საწვავი შესაძლოა 3 ლარამდე გაძვირდეს



## სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრის შედეგად დაზარალებულებს კომპენსაცია უნდა გადაეცეთ

## საქართველოში რქოსანი პირუტყვის რაოდენობა შემცირდა



ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 Facebook-მა 2018 წელს 583 მილიონი ყალბი ანგარიში გააუქმა

6 მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებლად, სავარაუდოდ, 7 მლნ ევროს სამუშაოები განხორციელდება

5 ია ბაგრატიონ-მუხრანელი: „საქართველოში ქართველები მალე უმცირესობაში აღმოჩნდებით“

7 გიორგი კვირიკაშვილი: „ბაკურიანი და გუდაური მსოფლიო მიმართულება ხდება“

# „საქართველოში ნარკოტიკების გავრცელების 3 წყარო არსებობს“



## გიორგი გახარია: „ფონიჭალაში 10 კგ ნარკოტიკი ამოვიღეთ“

შორენა მარსაგიშვილი

**„ბასიანსა" და კაფე „გალერიში" ჩატარებული სპეცოპერაციიდან ერთი კვირის თავზე შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია პარლამენტის წინაშე წარდგა. ექსპერტებმა და პოლიტიკოსების ნაწილმა ის კვირის გმირადაც კი შერაცხა. პარლამენტში ის „ევროპულმა საქართველომ" დაიბარა.**

მმართველი პარტიის წევრები შს მინისტრს ისე შეხვდნენ, როგორც თავის დროზე შეხვდა ქართველობა ბასიანის ბრძოლისმომგებ ივანე მხარგრძელს. ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ კი ისე უყურებდა გახარიას, როგორც დავით სოსლანი შეხედავდა ბასიანის ველზე რუქნადინს.

შესაბამისად ოპოზიცია მის მიმართ თავიდანვე აგრესიულად იყო განწყობილი. გახარიამ მათი შეტევების მოგერიება კარგად მოახერხა.

რამდენიმე დღის წინ მან საზოგადოება ბოდიშის მოხდით გააოცა. 18 მაისს კი მან ისეთი რამ აღიარა, რაც ბოლო წლების მანძილზე არც ერთ შს მინისტრს არ უღიარებია.

მთელი ამ წლების განმავლობაში გვესმოდა, რომ საქართველოში კრიმინალი არ გაზრდილი. შს მინისტრის განცხადებით, ისინი დანაშაულის სტატისტიკას არ მალავენ. ამბობს, რომ კვარტალური სტატისტიკით კრიმინალის მაჩვენებელი მომატებულია.

– ჩვენ არ გვეშინია და ვამბობთ, რომ, მაგალითად, კვარტალური სტატისტიკით დღეს კრიმინალში წინა წელთან შედარებით 39 %-ით ზრდა გვაქვს, რაც სერიოზული ციფრია. უბრალოდ, ამას აქვს მარტივი ახსნა. იმისთვის, რომ ის რეფორმების გეგმა იყოს ადეკვატური, გვჭირდება სურათის სწორი შეფასება.

სტატუსის დაფიქსირება, შემდგომ შეფასება, გეგმის დასახვა და შესრულება. ამიტომ ვერანაირ აზრს ვერ ვხედავდით, ეს სტატისტიკა დაგვემალა. მით უმეტეს, მაშინ, როცა იმ გეგმების, რაც გაგვაჩნია, ჩვენ გვჯერა. როდის იქნება ამ რეფორმების შედეგი?! წლის ბოლოსთვის ხელშესახები იქნება, რაც სტატისტიკურ მონაცემებზე აისახება, – თქვა მინისტრმა.

### საიდან შემოდის საქართველოში ნარკოტიკები

გახარიამ პარლამენტში რამდენიმე საათი გაატარა და მრავალ თემაზე მოუწია საუბარია. მთავარი თემა კი „ბასიანი“ და ნარკოტიკები იყო.

შს მინისტრმა ის მიმართულებებიც დაასახელა, საიდანაც საქართველოში ნარკოტიკები შემოდის. ამ მიმართულებაში საპატიო ადგილი უკავია თბილისის ერთ-ერთ უბანს – ფონიჭალას.

– დღეს რეალურად საქართველოში არსებობს ნარკოტიკების გავრცელების რამდენიმე სერიოზული წყარო და არხი. პირველი გახლავთ ფონიჭალა. ბოლო სამი თვის განმავლობაში 10-მდე კილოგრამი ჰეროინი არის იქიდან ამოღებული. იქ ძირითადად ვმუშაობთ მსხვილ კომპონენტზე. მეორე და ძალიან სერიოზული გამოწვევა გახლავთ ინტერნეტით გავრცელება და მესამე – კლუბური ნარკომანია, რომლის ძირითადი ტრანზიტი ევროპის ქვეყნებიდან ხდება, – ამბობს მინისტრი.

მან ინტერნეტის გზით ნარკოტიკის გასაღებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს არის სერიოზული გამოწვევა.

– ინტერნეტის გზით ნარკოტიკის გასაღება არის გამოწვევა არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ძლიერი ქვეყნისთვის. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენს პარტნიორებთან ვითანამშრომლოთ ამ მიმართულებით. ერთადერთი შესაძლებლობა არის სპეციალური ღონისძიებებით გამოვლენა კონკრეტული შემთხვევების.

ჩვენ რამდენჯერმე დავბლოკეთ რამდენიმე საიტი, თუმცა ჰოსტინგის სხვადასხვა გზებით მაინც ახერხებენ ადამიანები ამ საიტებზე მოხვედრას. გვრჩება ერთადერთი გზა – ფიზიკური თვალთვალით გამოვავლინოთ მსგავსი შემთხვევები. რამდენიმე მსგავსი შემთხვევა უკვე გამოვავლინეთ, ერთი იყო გახსნილი. თუმცა, კარგად გვესმის, რომ მასშტაბების შეფასება დღეს ძალზე რთულია. ამიტომ, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებასთან თანამშრომლობას. ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი, რათა შს სამინისტროს აქტივობები იყოს ბევრად უფრო ეფექტური, – მიაჩნია გახარიას.

მინისტრმა პარლამენტში საზღვართან დაკავშირებულ პრობლემებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ მიმართულების მართვა შსს-ს მთავარი გამოწვევაა:

– საზღვრის მართვა, განსაკუთრებით სახმელეთო ნაწილში, საკმაოდ რესურსული და რთული ამოცანაა, განსაკუთრებით ჩვენი გეოგრაფიის პირობებში, ამიტომ ამ მიმართულებით, გულწრფელად ვამბობ, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დახმარების დიდი იმედი. ამ დახმარებას ისინი გვიწევენ როგორც ტექნიკურს, ასევე მატერიალურს, დღეს ნაბიჯ-ნაბიჯ სახმელეთო საზღვრის კომპონენტში ვაუმჯობესებთ დაცვისა და უსაფრთხოების კომპონენტს.

საზღვარზე საუბრისას მან ჯეიმოკიც ახსენა. მისი განმარტებით, ჯეიმოკი არის ერთობლივი მართვის ცენტრი, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობს ნატოსთან საპარტნიორო პროგრამებში.

– უახლოეს პერიოდში ჩვენ დაგვემატება ორი ახალი აილენდის კლასის გემი, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ უფრო სრულფასოვნად მივიღოთ შავ ზღვაზე უსაფრთხოების წვრთნებში მონაწილეობა.

ეს არის გარდა იმისა, რომ ჩვენი სასაზღვრო კომპონენტის უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა, ასევე ჩვენი მესაზღვრეების კომპეტენციის ზრდის ერთადერთი საშუალება, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ბოლო პერიოდში ძალიან აქტუალურ და მტკივნეულ თემად იქცა ოჯახში ძალადობა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ შემაკავებელი ორდერის გამოწერა საქმეს არ შველის და რაღაც ახალია მოსაფიქრებელი.

შსს-ს ამ მიმართულებით უკვე აქვს სიახლეები. აი, რას ამბობს გახარია:

– ამასთან ერთად მინდა გითხრათ რამდენიმე უახლოესი ინიციატივა, ოჯახში ძალადობის განმეორებით ჩადენისთვის პასუხისმგებლობა გამკაცრდება, რაც უახლოეს პერიოდში განხორციელდება. შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაცვლად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდება, იმიტომ, რომ ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი. ასევე იქნება ცივი იარაღის ნაწილშიც.

მან კანონმდებლებს სხვა სიახლეც ამცნო. მისი თქმით, უბნის ინსპექტორს უახლოეს პერიოდში ახალი სახელი და ახალი ფუნქციები ექნება.

მისი ინფორმაციით, თბილისის მასშტაბით უბნის ოფიცრის პოზიციის 365 ადამიანია საჭირო.

– 80 ადამიანის მომზადება უკვე დაწყებულია. 10 ივნისიდან გამოცხადდება ღია კონკურსი საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ექნებათ საშუალება, მიიღონ მონაწილეობა უბნის ოფიცრების ვაკანტურ ადგილებზე კონკურსში. ჩვენ ვთვლით, რომ უბნის ინსპექტორი არის ის ძირითადი კომპონენტი კრიმინალური პოლიციის, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას საპოლიციო მომსახურება. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს იქნება ძალიან მოთხოვნადი პოზიციები. ამისათვის იქნება სპეციალური აქციები ჩატარებული და ეს ყველაფერი დაიწყება 10 ივნისიდან, – განაცხადა გახარიამ.

### შსს-ს ვერავინ შეზღუდავს

საზოგადოება და პოლიტიკოსების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ შსს-მ „ბასიანში“ სპეცოპერაცია ბერა ივანიშვილის მითითებით ჩაატარა. ამ სპეცოპერაციამდე ერთი კვირით ადრე, თბილისში „მეფედრონით“ 5 ახალგაზრდა გარდაიცვალა. ნაციონალური მოძრაობის წევრებმა მაშინ განაცხადეს, რომ კლუბი „ბასიანი“ ბერა ივანიშვილის იყო.

ამ ბრალდებას ბერამ ფეისბუქის საშუალებით უპასუხა და აღნიშნა, რომ ამ კლუბთან არაფერი აკავშირებდა. ამ სტატუსის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში „ბასიანში“ ხმაურიანი სპეცოპერაცია ჩატარდა.

ბერას მითითებაზე გახარიას კითხვა პარლამენტშიც დაუსვეს.

– ბერას სტატუსი არ მინახავს, სად უნდა მენახა, ფეისბუქიც კი არა მაქვს, – მოისაწყლა თავი გახარიამ და იქვე ჩააზუსტა, რომ „ბასიანთან“ დაკავშირებით შსს-მ გამოძიება 3 თვის წინ დაიწყო.

დეპუტატებს იმის გარკვევაც სურდათ, თუ რატომ ჩაატარა შსს-მ სპეცოპერაცია ღამით ღამის კლუბში ჩხრეკა.

ამასთან დაკავშირებით გახარია ასეთ განმარტებას იძლევა:

– არჩევანი იყო ძალიან მარტივი, ან ეს უნდა განგვეხორციელებინა დაახლოებით პირველი – ორი საათის განმავლობაში, სადაც მინიმალური რაოდენობის ხალხი იქნებოდა კლუბებში და მაქსიმალურად ფხიზელი, ან უნდა განგვეხორციელებინა გამთენიისას, 6-დან 7 საათამდე, სადაც იქნებოდა მაქსიმალური რაოდენობა ხალხის და მდგომარეობა იქნებოდა ნაკლებად პროგნოზირებადი.

პირველ შემთხვევაში, ჩვენ პრობლემები გვექნებოდა ღონისძიების შემდეგ, რაც მოხდა, რაც აბსოლუტურად გააზრებული გვქონდა, მეორე შემთხვევაში ღონისძიების მსვლელობის დროს. ეს იყო საგამოძიებო ჯგუფის კონკრეტული გადაწყვეტილება, რომელიც, ჩვენ ვთვლით, რომ იყო აბსოლუტურად სწორი და გამართლებული. ის, რაც მოხდა ამ ღონისძიების შემდგომ, ეს იყო ჩვეულებრივი აზრის გამოხატვა, რომლის თავისუფლებაც იყო უზრუნველყოფილი პოლიციის მიერ, თუ იქ ხდებოდა დაკავება, დაკავება ხდებოდა დაუმორჩილებლობის ნაწილში, არანაირ სხვა ქმედებას იქ ადგილი არ ჰქონია, ერთადერთი კომპონენტი იყო მაშინ, როდესაც მომიტინგეები ცდილობდნენ გზის გადაკეტვას. აქ იყო გარკვეული, ასე ვთქვათ, დისკომფორტი პოლიციელებსა და მათ ურთიერთობას შორის.

გიორგი გახარიას განცხადებითვე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც ერთი, არანაირი სახის სპეცაღჭურვილობა ამ ღონისძიებებში გამოყენებული არ ყოფილა.

ის ჩატარებულ სპეცოპერაციას შედეგიანს უწოდებს. პოლიციელებს კი გაწეული სამსახურისთვის მადლობას უხდის.

– როგორც შედეგი, მინდა გითხრათ, რომ გამოძიებას გარკვეული პროგრესი უკვე აქვს. მოგეხსენებათ, რომ დაკავებულია მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლო განჩინებით 8 ნარკორეალიზატორი. გამოძიება გრძელდება. რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე ვხედავთ ქსელურ ხასიათს ამ ღონისძიების, ამ ქმედებების და უახლოეს პერიოდში, დარწმუნებულები ვართ, ამას დასჭირდება გარკვეული დრო, რომ სისტემურ ხასიათს მსგავსი ქმედებების, ძალიან მარტივად წარმოგიდგენთ და დაგანახებთ, რასაც მოყვება კონკრეტული საგამოძიებო ქმედებები.

კიდევ ერთხელ მინდა თითოეულ პოლიციელს გადავუხადო მადლობა იმ თმენისთვის და იმ მაღალკვალიფიციურად შესრულებული მოვა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვინ დგას ფაშისტური ორგანიზაციების უკან

## ვახტანგ ძაბირაძე: „მათი საქმიანობა შსს-მ და პროკურატურამ უნდა შეისწავლოს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბიhაძე „ახალ თაობასთან" ინტეhვიუში შინაგან საქმეთა მინისტhის პაhლამენტში სიტყვით გამოსვლას აფასებს.**

***— ბატონო ვახტანგ, პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლას როგორ შეაფასებთ?***

— პარლამენტში მისულ გახარიას ბევრ სხვა კითხვასთან ერთად ერთი მთავარი კითხვა ელოდა. მთავარი კითხვა კი ასეთია: 12 მაისს გადააჭარბა თუ არა უფლებამოსილებას პოლიციამ? სიმართლე გითხრათ, არც ერთი დაზარალებული დღემდე არ ჩანს, რომელიც იტყვის, მე კანონთან მართალი ვიყავი და პოლიციამ ჩემი უფლებები დაარღვიაო. თუ პოლიციამ ადამიანების უფლებები დაარღვია და ადამიანებსა და სამართალდამცველებს შორის ძალადობა იყო, სად არის მაშინ ოპოზიცია, ადამიანის უფლებათა დამცველები, რომლებიც ამ ფაქტებს საჯაროდ განიხილავენ და პასუხისმგებლობას დააყენებენ?!

მთელი ამ 30 წლის განმავლობაში რა გვინახავს იმაზე მეტი, ვიდრე პოლიციელები ადამიანების უფლებებს რომ არღვევდნენ. ამიტომ, გულწრფელად გითხრათ, დიდი ინტერესით ველოდი გახარიასა და ოპოზიციის დებატებს პარლამენტში, ვინ უფრო ძლიერი იქნებოდა, უფრო სწორად, ვის უფრო ძლიერი პოზიციები ექნებოდა.

***— თუმცა, ოპოზიციამ თქვა, რომ ის თეთრ ცხენზე ამხედრებული ვერ შემოვა პარლამენტში. ამ განწყობით დახვდა მას ოპოზიცია.***

— სად არის ოპოზიციის არგუმენტები და ფაქტები?! რა, როდესაც დადასტურებული ინფორმაცია აქვს პოლიციას, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას აქვს ადგილი, რა მნიშვნელობა აქვს, სად, პოლიციამ თავის მოვალეობაზე უარი უნდა თქვას?! როდის უნდა შესულიყო, როდესაც ცარიელი იქნებოდა?! თუ გადააჭარბა ამ უფლებამოსილებას, მაშინ ოპოზიციამ ამის ფაქტები უნდა დადოს. თუ ამ ფაქტებს დაუდებდნენ, მაშინ ვერ მივიდოდა გახარია ცხენზე ამხედრებული, შეიძლება მისულიყო, მაგრამ მალე ჩამოსვამდნენ.

აბსოლუტურად ვეთანხმები გახარიას, როდესაც ის ამბობს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის გარეშე კრიმინალთან ბრძოლის ფასი ნულის ტოლია. უმთავრესი ამოსავალი ნებისმიერ ვითარებაში არის ადამიანი და მისი უფლებები. კრიმინალთან ბრძოლაც ადამიანისთვის, მისი უფლებისთვის არის საჭირო და არა განყენებულად. თუ გვინდა, დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ, მაშინ ასეთი უნდა იყოს სტანდარტი და მიდგომები.

***— რამდენად ლოგიკური იყო გახარია, როდესაც აქციაზე მომიტინგეებს ბოდიში მოუხადა, პარლამენტში კი პოლიციელებს მადლობა გადაუხადა?***

— ამ ორ განცხადებას შორის დიდი წინააღმდეგობა არ არის. ბოდიშს ითხოვდა მიტინგი და მან ეს გააკეთა, მადლობა კი გადაუხადა იმ პოლიციელებს, რომლებმაც თავიანთი საქმე გააკეთეს.

***— ბოკერიამ გახარიას ჰკითხა, როგორ მოიქცევა, თუ პროპუტინული, ფაშისტური ძალები ივანიშვილს საფრთხეს შეუქმნიან? ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, შეიძლება მართლაც გახდეს ხელისუფლებისთვის რეალური პრობლემა ანგაჟირებული, სრულიად გაუგებარი წარმომავლობის დაჯგუფებები, რომლებიც უცებ გამოჩნდნენ ამ ბოლო პროცესების კვალდაკვალ?***

— ზოგადად საქართველოში ყველა ადამიანს აქვს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება კონსტიტუციით არის დაცული და გარანტირებული, ვის მოსწონს ეს ადამიანი თუ არ მოსწონს. ეს ერთი ნაწილი. მეორე, როდესაც ბოკერია საფრთხეზე საუბრობს, გააჩნია, რა საფრთხეზეა საუბარი. როდესაც საშიშროება იყო მიტინგზე, რომ ეს ორი ძალა დაჰპირისპირებოდა ერთმანეთს, პოლიციამ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა — შუაში ჩადგა. მასზე დაკისრებულ მოვალეობას იმ კონკრეტულ მომენტში პოლიციამ თავი გაართვა. სხვა რა უნდა გაეკეთებინა?!



მესამე ნაწილი, რაც შეეხება ე.წ. შავპერანგიანებს, თუ მათი განცხადებები მიუღებელია და კანონთან შეუსაბამო, ამაზე პროკურატურამ უნდა იმსჯელოს და უნდა აღძრას საქმე მათ წინააღმდეგ. რა შეუძლია გააკეთოს შინაგან საქმეთა სამინისტროს? თუ მათ კანონი არ დაურღვევიათ, რომ დააკავონ, მათი უფლებების დარღვევა ხომ იქნება?! თუ მათი განცხადებები არღვევს საერთაშორისო ნორმებს, კონსტიტუციას, თუ ეს განცხადებები ძალადობისკენ მოწოდებებს შეიცავენ, ეს უნდა გამოიძიოს პროკურატურამ. ეს მთლიანად პროკურატურის საქმეა.

მართლაც გაურკვეველი წარმომავლობის ჯგუფები, მართლაც გაუგებარი და მიუღებელი ლოზუნგები, რაღაც გვარდიაზეა ლაპარაკი. ეს მართლაც სერიოზული საკითხია. ამით გამოძიება უნდა დაინტერესდეს. ჩვენ გამოვიარეთ ის პერიოდი, როდესაც უკანონო გვარდიები, მხედრიონები იქმნებოდა და კარგად ვიცით, რაც მოგვიტანა ამან. ახლა ნამდვილად არ გვინდა უკან დაბრუნება. თქვენ როდესაც ამბობთ, ხელისუფლებას ხომ არ შეუქმნის ეს საფრთხესო, სწორია, ამაზე უნდა დაფიქრდნენ, ვის აძლევს ხელს ეს?! სახელმწიფოს ხომ არ შეუქმნიან საფრთხეს?! ამიტომ ხელისუფლება სერიოზულად უნდა დაინტერესდეს, რა ძალები არიან ესენი და საიდან მოვიდნენ.

***— ამბობენ, რომ ეს ჯგუფები ხელისუფლების რომელიღაც ფრთის მიერ არის მართული, თუმცა დადასტურებული არ არის.***

— ეს ჭორებია, არ ვიცით, ეს არის რეალობა თუ არ არის, ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ის ნაწილი, სადაც პროკურატურა და გამოძიება უნდა ჩაერთოს. თუ ამ ჯგუფებს მართლაც აქვთ რუსეთთან კავშირი, ესეც გამოძიების საგანი უნდა გახდეს. სხვამ თუ არა, ბოკერიამ უნდა იცოდეს, ვისგან რა მოითხოვოს. ეს ნაწილი ეკუთვნის პროკურატურას და არა შინაგან საქმეთა სამინისტროს. როდესაც საზოგადოებას კითხვები უჩნდება, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია, პასუხი გასცეს. ამ შემთხვევაში ეს ვალდებულება აქვს პროკურატურას და არა გახარიას.

# „საქართველოში ნარკოტიკების გავრცელების 3 წყარო არსებობს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლეობისთვის, რომლითაც მათ დაადასტურეს, რომ პოლიციის ძირითადი ამოცანა გახლავთ მოქალაქეებზე ზრუნვა და, რაც მთავარია, ჩვენს საზოგადოებაში რადიკალიზაციის დონის შემცირება და არა გაზრდა, — აღნიშნავს ქვეყნის მთავარი პოლიციელი.

მისივე თქმით, შსს-ს გააჩნია დასაბუთებული ეჭვი, რომ ღამის კლუბებში ნარკოტიკები იყიდება.

— ჩვენ გვაქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ ეს არის ქსელური, საკმაოდ კარგად ორგანიზებული ქმედებების ჯაჭვი, რომელსაც მივყავართ, სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში, ფატალურ შედეგებამდე — ეს არის და ეს, სხვა მოტივი ჩვენ ამ შემთხვევაში არ გაგვაჩნდა.

სამწუხაროდ, ჩვენ დავინახეთ იმის რისკი, რომ ეს ინფრასტრუქტურა, რომელიც არის შექმნილი, იყოს გამოყენებული როგორც ეფექტური პლატფორმა, ასე ვთქვათ, ნარკოვაჭრობისთვის, — აღნიშნა გახარიამ.

მისი განცხადებით, მსგავსი ღონისძიებები ტარდება ყველა ქალაქში, სადაც ასე თუ ისე განვითარებული არის კლუბური ცხოვრება და უფრო მძიმე შედეგებითაც მიმდინარეობს.

— ჩვენ გვქონდა დადასტურებული ფაქტები, მსგავსი ქმედებების ვიდეოჩანაწერები კონკრეტულ კლუბებში. ასევე გეტყვით, რომ განჩინება ჩვენ არ გვქონდა მარტო 2-ზე, გვქონდა ცოტა უფრო მეტზე და ეს საგამოძიებო პროცესები გრძელდება. რისი ბრალი იყო ეს, ცუდი მენეჯმენტის ზოგ შემთხვევაში, უკონტროლობის თუ ა.შ. და ა.შ. შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ამას არ აქვს არანაირი გამართლება.

სამინისტრო ყოველთვის ებრძვის და იბრძოლებს ნარკოტიკების გასაღების წინააღმდეგ და ვერავინ ვერასოდეს ვერ შეზღუდავს ჩვენს ზონას — სად შევიდეთ და სად არ შევიდეთ. ის, რომ ჩვენ საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, შევუქმენით დისკომფორტი 70, მაქსიმუმ 100-მდე ადამიანს, რომელიც 12-დან 1-ელ საათამდე ემზადებოდა კლუბში გართობისთვის, ბოდიში, მაგრამ ეს იყო საჯარო ინტერესიდან გამომდინარე და ის სარგებელი, რომელიც ამ ღონისძიებამ მოგვიტანა, სარგებელი უნდა ყოფილიყო და უდავოდ არის ერთმნიშვნელოვნად უფრო მეტი, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

12 მაისის საგამოძიებო ღონისძიებასთან დაკავშირებით საუბრისას მინისტრმა აღნიშნა, რომ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა კლუბის მფლობელების და ხელმძღვანელობის მხრიდან, რომ მათ მიემართოთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და დახმარება ეთხოვათ პრობლემის გადაწყვეტაში.





## მამუკა მდინარაძე გიგა ბოკერიას შს მინისტრობას უწინასწარმეტყველებს

* * *

„ევროპული საქართველოს“ წევრის ელენე ხოშტარიას განცხადებით, შს მინისტრის გამოსვლიდან ბევრ კითხვაზე ვერ მიიღო პასუხი, მათ შორის, რატომ გახდა 12 მაისს ადამიანების უფლებების დარღვევა საჭირო.

— სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივიღეთ პასუხები მთავარ კითხვებზე. ჩვენ კითხვები არ გვაქვს და საზოგადოებას პრეტენზია არ აქვს იმაზე, რატომ იბრძვის პოლიცია ნარკორეალიზაციის წინააღმდეგ. პირიქით, პრეტენზია და მოთხოვნა გვაქვს, რომ ამას ებრძოლონ ეფექტურად. პასუხი ვერ მივიღეთ, რატომ იყო საჭირო უშუალოდ 12 მაისს ამდენი ადამიანის უფლების დარღვევა. არა მხოლოდ იქ მყოფის, არამედ გარეთ 70-80 ადამიანის, რომელიც მერე იყო დაკავებული.

ამ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ. აბსოლუტურად ზედაპირული დამოკიდებულება არის ძალის პროპორციულად გამოყენებასთან დაკავშირებით. საერთოდ არ აღიარებს რაიმე შეცდომას. რაც მთავარია, საერთოდ ხსენებული არ ყოფილა ფაშისტების თარეში ქვეყანაში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც არის ქვეყანაში, რომ ჩვენს ქალაქში არიან ადამიანები, რომლებიც არბევენ და ემუქრებიან ადამიანებს, — განაცხადა ხოშტარიამ.

უკმაყოფილო იყო „ევროპული საქართველოს“ კიდევ ერთი ლიდერი. მან შს მინისტრთან ერთად, მეოცნებე მამუკა მდინარაძეც დაგმო.

ეს გმობა თავად მამუკა მდინარაძის პროვოცირებული იყო, რომელმაც მინისტრის ნაცვლად ბოკერიას დაუსვა კითხვა..

— ჩემი კითხვის ნაწილს დავუთმობ გიგა ბოკერიას. თქვენ ქვეყანაში ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი იყავით. იყო თუ არა უკიდურესად რეპრესიული პოლიტიკა, მათ შორის, ნარკომომხმარებლების მიმართ? იყო თუ არა წამება ციხეებში და ეს იყო თუ არა მაშინდელი ხელისუფლების სტილი? მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს იყო საუკეთესო გზაა დანაშაულთან ბრძოლისათვის. თუ არ მიპასუხებთ, მაშინ მეთანხმებით, — განაცხადა მდინარაძემ.

საპასუხოდ გიგა ბოკერიამ აღნიშნა, რომ კითხვები შს მინისტრისადმი არსებობს. მან კოლეგას წინასწარმეტყველის ნიჭიც შეუქო.

— ბატონი მამუკას წინასწარმეტყველებას პატივს ვცემ. ის მე უკვე მხედავს შს მინისტრად, მაგრამ იმედი უნდა გაგიცრუოთ, მომავალშიც არ ვიქნები. აქ კითხვები არის შს მინისტრთან. ზოგადად, ცოტა სახიფათო წინასწარმეტყველებებია. კობა ნარჩემაშვილს მადლობა გადაუხადეს – 2003 წელს, გაყალბებული არჩევნების მერე, სისხლი რომ არ დაღვარა, ეს არის კარგიო და როგორ გისურვოთ ეგ მომავალი? ჩვენ ეგ არ გვინდა. ჩვენ გვინდა არჩევნებით ცვლილება. იქნებ მიუთითოთ თქვენს კოლეგებს, ნებისმიერი უმცირესობის და ყველაზე დაუცველის მიმართ შეურაცხმყოფელ ფრაზებს რომ ისვრიან ეს რაინდები, რომლებიც იბრძვიან კლაბერების წინააღმდეგ გაბედულად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, თითქოს მტერი არა გვყავს ერთ საათში აქედან. მაგრამ იმ მტერთან ბრძოლა თქვენ არ გინდათ, იმ მტრის უნდა გეშინოდეთ და კლაბერები რომ შეიკრიბებიან, 20-22 წლის გოგო ბიჭები, იქ ხართ თქვენ რაინდები და ამ დარბაზშია ომახიანად უტევთ, ყოჩაღ! – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

# გელა ნიკოლაიშვილი: „პოლიციას ღამის კლუბებში ოპერაციის ჩატარების უფლება ჰქონდა“

ნონა ცაბაძე



**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო გელა, გასული ერთი კვირის განმავლობაში თბილისს საპროტესტო აქციების ტალღამ გადაუარა. შეფასებები არაერთგვაროვანია, საზოგადოება – ორად გაყოფილი და დაპირისპირებული. 17 მაისსაც ვნახეთ, რა ხდებოდა თბილისის ქუჩებში. როგორია თქვენი, როგორც უფლებადამცველის შეფასებები?***

– მე, რაც არ მომწონს, პირველ რიგში, ბევრი უფლებადამცველისგან, ხშირად ისინი გამოდიან რომელიმე მხარის უფლებადამცველებად, ამიტომ მე შევეცდები, კონკრეტულად ყველა მხარის პოზიციები შევაფასო და ვთქვა, ვინ რამდენად დაარღვია ან არ დაარღვია სხვისი უფლებები.

დავიწყოთ პოლიციის მოქმედებით, რომელიც გასული კვირის პარასკევ საღამოს შევიდა ბასიანში და გალერიში. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში პოლიციის მოქმედება, როდესაც გამოიყვანეს ეს ადამიანები, იყო კორექტული. ბევრი ამას დარბევას ეძახის, თუმცა ჩვენ დარბევაც ბევრი გვინახავს და, იმას რომ ვადარებ, ეს დარბევა არ იყო.

***– აბა რა იყო, ოპერაცია?***

– პოლიციამ გაათავისუფლა ეს შენობები, გამოიყვანეს ადამიანები გარეთ. შს მინისტრმა პირდაპირ მოუწოდა, თუ რამე მტკიცებულებები გაქვთ, ჩანაწერები, მოგვაწოდეთ და, თუ ვინმემ კონკრეტულად გადააჭარბა უფლებამოსილებას, ის დაისჯებაო. დღემდე მე არ მინახავს არც ერთ ტელევიზიაში, არც სოციალურ ქსელში, რომ კონკრეტულად ამ ოპერაციის დროს, გარეთ გამოყვანილ ხალხთან მიმართებით, პოლიციას ძალა გადაემეტებინოს და ან მათზე ეძალადოს.

***– მაშინ რას აპროტესტებდნენ და რატომ საუბრობდნენ პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებაზე?***

– ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ იმაზე, რა ფაქტებიც გვაქვს ნანახი. ლაპარაკით ყველას შეუძლია ილაპარაკოს, შემოგვიცვივდნენ, დაგვარბიეს და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, დისკომფორტია იმ კლუბში მყოფი ადამიანებისთვის, რომლებსაც იმ საღამოს გართობის საშუალება მოუსპეს, თუმცა მეორე საკითხია, ჰქონდა თუ არა პოლიციას ამის უფლებამოსილება?! თუ არის ოპერატიული ინფორმაცია რაღაც დანაშაულის, პოლიციას აქვს უფლება, ნებისმიერ ადგილას ჩაატაროს ოპერაცია, არათუ კლუბებში, არამედ სახელმწიფო დაწესებულებებში, პარლამენტში, პრეზიდენტის აპარატში, მინისტრთა კაბინეტის აპარატში.

***– კლუბებში არ დაუკავებიათ ნარკოტიკების გამსაღებლები.***

– ახლა რატომ მაინცდამაინც იქ არ დააკავეს კონკრეტული გამსაღებლები, ეს პრეტენზია არის მათ მიმართ, თუმცა მათ წარმოადგინეს არაერთი ვიდეომასალა, რომელიც ამტკიცებდა, რომ წინა დღეებში ჰქონდა ადგილი ასეთ გასაღებებს, მაგრამ ის, რომ გასაღება არ იყო იმ მომენტში, როცა დააკავეს, არ ნიშნავს იმას, რომ ნარკოტიკს არ ასაღებდნენ. როგორც ამბობენ, 34 ადგილას იყო ნარკოტიკული ნივთიერება აღმოჩენილი. აქედან გამომდინარე, თუ პოლიციის მოქმედებას შევაფასებთ, მთლიანობაში ეს იყო კორექტული და კანონის მოთხოვნებს არ გასცილებია.

***– აქციაზეც იმავეს თქმა შეგიძლიათ?***

– რაც შეეხება აქციას, შემდეგ ამ პროცესებს მოჰყვა აქცია. კლუბის წევრებს აქვთ გამოხატვის უფლება, გამართეს ეს აქცია საკმაოდ აგრესიულ ფორმებში, იყო რამდენიმე მომენტი, როცა პოლიციას ძალიან აგრესიულად დაუპირისპირდნენ. კლუბში ყველა ნარკოდილერი და ნარკომანი არ არის. იქ ძირითადი მასა არის ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც კანონმორჩილია, უბრალოდ, მას ცხოვრების ასეთი სტილი მოსწონს, ამაში ხელის შეშლის უფლება არავის აქვს და მათთვის არც ამ აქციაში შეუშლია არავის ხელი.

***– რას იტყვით მეორე მხარეზე?***

– რაც შეეხება მეორე მხარეს, რომელიც იქ მივიდა და მათი ნაწილი გარკვეული აგრესიულობით გამოირჩეოდა, ეს ულტრალიბერალები აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ დარაზმა ეს ხალხი, მოიყვანა და შემდეგ თვითონ ჩადგა შუაში გამშველებლად...

***– დიახ, მშვიდობის მტრედის მანტია მოირგოო.***

– მე ამას კატეგორიულად ვერ დავეთანხმები, იმიტომ რომ ძალიან ბევრი ადამიანი გააღიზიანა მათმა გამოსვლებმა. ისინი პირდაპირ ბნელებსა და რუსეთის აგენტებს უწოდებდნენ მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს – ჩლუნგებს, გამოუსვლელებს, მონებს. სწორედ ამიტომ მივიდა იქ ის დაპირისპირებული მხარე და არა იმიტომ, რომ ხელისუფლებამ მიიყვანა.

იქ გამოჩნდნენ მოფაშისტო ელემენტები და ესეც კატეგორიულად მიუღებელია. ასეთი ფაშისტური და რადიკალური გამოვლინებები ხელისუფლებამ უნდა აღკვეთოს. პოლიციამ დააკავა კიდეც ამ აქციაზე პირველ ჯერზე – 20, ხოლო 17 მაისს 39 ადამიანი. ნაწილი დააჯარიმეს, ნაწილს ადმინისტრაციული წესით სახდელი დააკისრეს, ზოგს ხელწერილი დააწერინეს. რეალურად იყო სიტუაცია, რომ ველარ აკავებდნენ მომიტინგეებს.

***– ადეკვატური იყო პოლიციის ქმედება?***

– როგორც ჩანს, იყო, მაგრამ ყველას სისხლის სამართლის წესით ხომ ვერ გაასამართლებდა?! ეს ლიბერალები 17 მაისს ქუჩაში გამოსულ ათიათასობით ადამიანს მიიჩნევენ ბნელებად, აგრესიულ ადამიანებად, მონებად და რა არ მოვისმინე, ხოლო საკუთარ თავს მიიჩნევენ თავისუფალ ადამიანებად. მინდა შეგახსენოთ, რომ თავისუფლების ლოზუნგით მოვიდნენ ხელისუფლებაში ფაშისტები და კომუნისტებიც თავის დროზე და თავისუფლების ლოზუნგით ებრძოდნენ თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს.

***– მოვისმინეთ შეფასებები ექსპერტებისგან, რომ უმცირესობა ცდილობს, სწორედ ასეთი ლოზუნგებით იძალადოს უმრავლესობაზე. ასეა?***

– ფაქტია, ასეა. ყველამ ვიცით, რომ რეალურად უმცირესობაში არიან ისინი. თუნდაც ნარკოლიბერალიზაციის მომხრეები და თუნდაც ეს ელგებეტეები. კი ბატონო, მათ არსებობის უფლება აქვთ, არც გამოხატვის უფლებას ართმევს ვინმე, მაგრამ, როდესაც თვითონვე გადადიან ზღვარსა და კანონს, ასეთ შემთხვევაში მოითხოვენ, ყველა, ვინც არ არის ჩვენნაირი, დაიჭირეთ და ამოხოცეთო, ეს არ არის თავისუფლება.

***– ნარკოტიკები ახსენეთ და ამ კუთხით სავალალო მდგომარეობაა. 50 ათასი მძიმე ნარკოტიკების მომხმარებელი გვყავს და ქვეყნებს შორის მესამე ადგილს ვიკავებთ. ამაზე რატომ არავინ წუხს?***

– სწორედ ეგ არის საქმე. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ანტინარკოტიკული კამპანია არ წარმოებს საქართველოში. კი, მე მომხრე ვარ ლიბერალიზაციის, მოხმარებისთვის ასეთი მძიმე სასჯელი არ უნდა იყოს, მაგრამ კამპანიას ხომ უნდა აწარმოებდეს ხელისუფლება?! გამოიყვანონ ეს ადამიანები და აჩვენონ საზოგადოებას, ასევე აჩვენონ ის ჯანსაღი თაობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელია და მოზარდები არჩევანს გააკეთებენ კარგსა და ცუდს შორის. დაუწესე შეზღუდვები მომხმარებელს, თან საკმაოდ მკაცრი, გაუწიე ამ ყველაფერს პროპაგანდა, რეკლამირება. დღეს ჩვენს ქვეყანაში პირიქით ხდება, ნარკოტიკების პროპაგანდა მიმდინარეობს.

# რა ქონებას ფლობენ მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეები, რომელთა ანაზღაურებაც „პრეზიდენტის ხელფასს სამჯერ აღემატება“



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების კომისიის წევრებისთვის და ხელმძღვანელი პირებისთვის თვიური შრომის ანაზღაურების ზედა ზღვრის დაწესებას ითხოვს.

მისი თქმით, მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება თვეში 20.000 ლარზე მეტია, რაც სამჯერ აღემატება პრეზიდენტის ხელფასს. გოცირიძე აღნიშნავს, რომ მარეგულირებელი კომისიის წევრის, მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის შრომითი ანაზღაურება პრეზიდენტის შრომითი ანაზღაურების 1 თვის ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, როგორია მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეთა ანაზღაურება და მათი ქონებრივი მდგომარეობა.

როგორც მათ მიერ შევსებული ბოლო ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის კახა ბექაურის როგორც კომისიის წევრის წლიური ანაზღაურება 2016 წლის განმავლობაში 233.988 ლარი იყო, რაც თვეში 19.499 ლარი გამოდის. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ირინა მილორავას ანაზღაურება 2016 წელს 165.604,6 ლარი იყო, რაც თვიურად 13.800,4 ლარი გამოდის. შედარებისთვის, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის წლიური ანაზღაურება 2016 წელს 82.800 ლარი იყო, რაც თვეში 6.900 ლარი გამოდის. პრემიერ-მინისტრის წლიური ანაზღაურება კი 2016 წელს 51.369,57 ლარი იყო, რაც თვიურად 4.280,8 ლარს შეადგენს.

2017 წლის 1-ლ მაისს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაური ფლობს, 578 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს ლისის ტბის მიმდებარედ; 65 კვ.მეტრის და 73,2 კვ. მეტრის ბინებს თბილისში; 44,05 კვ მეტრი ფართობის ბინასა და 17,5 კვ. მეტრის ავტოფარეხს დუშეთში.

რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა ანგარიშზე – 12.050,59 გირვანქა სტერლინგი, 3.516,46 ევრო, 29.355,11 ლარი და ჯამში, 109.236,04 დოლარი ჰქონდა. ამასთან, დეკლარაციის მიხედვით, ბექაური ფლობს შპს „ორი ნაბიჯის“ 33,33%-იან; შპს „მეგაპოლის კლასიკის“ 40%-იან; შპს „რითეილ ფროფერთიზის“ 25%-იან და შპს „სხვა არხის“ 100%-იან წილს.

მისი მეუღლე ეკა ბერიძე ფლობს, 92,3 კვადრატული მეტრის, 60 კვ. მეტრის, 21 კვ. მეტრის ბინებსა და 9,8 კვ.მეტრი ფართობის არასაცხოვრებელ ფართს თბილისში; მას ეკუთვნის ასევე მსუბუქი ავტომობილი ტოიოტა ღѻV4. ბერიძეს დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე ჯამში, – 29,120,28 ლარი, 20,048,87 დოლარი და 18,045,97 ევრო ჰქონდა. ამასთან, მისი წლიური ანაზღაურება 2016 წელს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კომუნიკაციების დირექტორის თანამდებობაზე – 303,575 ლარი იყო.

რაც შეეხება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, 2017 წლის 30 ოქტომბერს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ირინა მილორავა ფლობს 72 კვადრატული მეტრისა და 143,1 კვ. მეტრი ფართობის ბინებს თბილისში. მასვე დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე ჯამში, 2,052.15 ლარი ჰქონდა.

# Facebook–მა 2018 წელს 583 მილიონი ყალბი ანგარიში გააუქმა

უკანასკნელ პერიოდში Facebook-ის მისამართით კრიტიკა ხშირად ისმის – კომპანიას ძალადობისა და სიძულვილის ენის შემცველი პოსტების წინააღმდეგ ბრძოლაში არაეფექტური ხერხების გამოყენებაში ადანაშაულებენ.




აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლები, აქტივისტები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები კომპანიას სთხოვდნენ, გაემჟღავნებინა, თუ როგორ იბრძვის კომპანია ისეთი კონტენტის წინააღმდეგ, რომელიც მის პოლიტიკას ეწინააღმდეგება.

სამშაბათს Facebook-მა თავის ისტორიაში პირველად გამოაქვეყნა ზუსტი მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ინფორმაცია იბლოკება მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელში. 86-გვერდიან ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის I კვარტალში Facebook-მა 865.8 მილიონი პოსტი წაშალა. მათი უმრავლესობა სპამს წარმოადგენდა, პროცენტულად მცირე რაოდენობა კი პორნოგრაფიას, ძალადობას, სიძულვილის ენასა და ტერორისტულ კონტენტს ასახავდა.

2018 წელს Facebook-მა 583 მილიონი ყალბი ანგარიში გააუქმა. კომპანიის წარმომადგენლის, გაი როზენის განცხადებით, უკანასკნელ 18 თვეში Facebook-მა ფუნდამენტურად შეცვალა სოციალური ქსელისთვის დაუშვებელი კონტენტის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. მისივე თქმით, Facebook-ი მსგავსი ტიპის ანგარიშებს მომავალშიც გაასაჯაროებს.

კომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით, არასასურველი კონტენტის მიმოხილვისთვის და მისი წაშლისთვის Facebook-ი ხელოვნურ ინტელექტს იყენებს. მარკ ზაკერგერბის აზრით, სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი იმ მილიარდობით პოსტის მიმოხილვა, რომელიც სოციალურ ქსელში ქვეყნდება. მეორე მხრივ, არსებობს კრიტიკოსთა ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ Facebook-ს პოსტების მიმოხილვისთვის ადამიანების დასაქმება შეუძლია.

# ია ბაგრატიონ-მუხრანელი: „საქართველოში ქართველები მალე უმცირესობაში აღმოვჩნდებით“

გულიკო ბალაძე

**ია ბაგრატიონ-მუხრანელი „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ქართლში მუხრანბატონების სასახლე ინგრევა და ნადგურდება. მუხრანბატონების მუხრანის სასახლისთვის 90-იან წლებში გამოიყო თანხა, მაგრამ, სად დაიხარჯა, ცნობილი არ არის.**

ისტორიულად ცნობილია, რომ სამუხრანბატონოში დაიბადნენ და იზრდებოდნენ ქეთევან წამებული, ნიკო ბური და მეფე კონსტანტინე მეორის სხვა შთამომავლები. კონსტანტინე მეორის ერთ-ერთი შთამომავალი ია ბაგრატიონ-მუხრანელიც არის, რომელიც იბრძვის ამ სასახლის რეაბილიტაციისთვის. მას სურს, რომ იქ სასწავლებელი გაიხსნას და ამ ადგილის მიმზიდველობა კეთილი საქმისთვის იქნეს გამოყენებული.

სამწუხაროდ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მუხრანბატონების სასახლეში ილიას მკვლელი ბერბიჭაშვილი ცხოვრობდა, რომელმაც, ფაქტობრივად, მთელი სასახლე გაძარცვა.

ია ბაგრატიონ-მუხრანელმა ნიკო ბურს წიგნიც მიუძღვნა.

***— ქალბატონო ია, რატომ ვერ ხერხდება მუხრანის სასახლის რეაბილიტაცია?***

— მუხრანის სასახლის რეაბილიტაციისთვის 90-იან წლებში თანხა გამოიყო, მაგრამ დაიხარჯა. სპობენ და ანადგურებენ სასახლეს.

***— რატომ ვერ ხერხდება, რომ სტატუსი მაინც მიენიჭოს?***

— ჩემი თვალთახედვით, ეს განათლების სამინისტროს ეკუთვნის, რადგან იქ სკოლა იყო. ახლა შვედი ბიზნესმენი იქნება თუ ქართველი, ყველას უნდა სასახლის ნანგრევების ხელში ჩაგდება. მე მინდა, აღდგეს და მუზეუმი, სასწავლებელი გაიხსნას, რაღაც კეთილი საქმისთვის იქნეს გამოყენებული და არა ფულის კეთებისთვის.

***— თუ მუზეუმი იქნება, დამთვალიერებელიც ეყოლება.***

— არ ვიცი, მათთან მე კონტაქტი არ მაქვს. ხალხს ატყუებენ, ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებთო, მაგრამ არაფერი გაკეთებულა. სოფლის ცენტრია, არც კანალიზაციაა, არც წყალი, არც გზა და არც ინფრასტრუქტურა.

***— ტურიზმის დეპარტამენტს რომ მიმართოთ, შეიძლება დაინტერესდნენ. ეგენი ეძებენ ტურისტული მარშრუტებისთვის გამოსადეგ ადგილებს.***

— თუ გვინდა, ტურისტული მარშრუტები გავაკეთოთ, სერიოზული სამუშაო უნდა ჩატარდეს. ძალიან მიტოვებული და განადგურებულია. რაღაც უნდა გაკეთდეს. არც მუხრანი და არც ეს სასახლე ამ მდგომარეობაში ყოფნას არ იმსახურებს.

მუხრანბატონები მეფე კონსტანტინე მეორის შთამომავლები არიან. ქეთევან დედოფლის მამა იყო აშოთან ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელიც კონსტანტინე მეორის შვილიშვილია.

***— ანუ მუხრანში ქეთევანის წამებულის ნაფეხურებია.***

— წმინდა ნაწილებით, ფაქტობრივად, ქეთევანი დაბრუნდა მუხრანში. მისი წმინდა ნაწილები ჩაიტანეს მუხრანში, მაგრამ, ჩვენ რომ ჩავედით, გაოგნებული დავრჩით.

***— რატომ?***

— მეგონა, იქ ხალხი დახვდებოდა, რაღაც ჯაჭვებს გააკეთებდნენ, იმდენი ხალხი იქნებოდა, შესახვედრად ბავშვებს გამოიყვანდნენ. ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები ჩაიტანეს და ხალხი არ იყო.

***— ანუ ორგანიზება აკლდა.***

— მუხრანში ქეთევან წამებულის სახელობის ტაძარი შენდება, მაგრამ, სამწუხაროდ, არც გუბერნატორი და არც გამგეობა იმ ადგილებს ყურადღებას ჯეროვნად არ აქცევენ. შედიხარ მუხრანში და ყველგან, ყოველი მეორე სახლის წინ რაღაცას ყიდიან. მესმის, ხალხს უჭირს, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად უნდა იყოს ორგანიზებული. თუ იქ მოხვდებით, აუცილებლად გაჩერდით შესასვლელთან, სადაც ნახავთ ქეთევან წამებულის საშინელ ძეგლს, რომელიც, იცით, ვის ეკუთვნის?

***— ვის?***

— ზეიკიძის გაკეთებული ძეგლია. მისი ლექსებით, გაგიჟება შეიძლება...

***— რა ლექსებით? ეს ის ზეიკიძეა, პარლამენტში იარაღით რომ შეიჭრა პოლიციელებთან ერთად?***

— დიახ, პოლიციელი ზეიკიძე.

***— მუხრანელია?***

— დიახ, მუხრანელია და ალბათ ფიქრობს, რომ დიდი საქმე გააკეთა და ძეგლს ოთხივე მხრიდან მისი ლექსები აწერია. ეს იგივეა, ზეიკიძემ თავის გამოშვებულ ძეხვს რომ დააწეროს „ქეთევან წამებული“. ეს როგორ შეიძლება, საშინელებაა.

***— როგორც ვიცი, თქვენ ნიკო ბურზე წიგნი გამოეცით მისი მემუარების მიხედვით.***

— დიახ. ნიკო ბური მემუარებში მის სამხრეთ აფრიკაში მოგზაურობასა და ბრძოლაზე წერს. თვით ბურები უფრო ადრე ჩავიდნენ სამხრეთ აფრიკაში. ბართლომეს ღამის შემდეგ, როდესაც პროტესტანტების დევნა დაიწყეს, გადასახლდნენ სამხრეთ აფრიკაში. ისინი ძალიან ენერგიული, ძლიერი და მშრომელი ხალხი იყო. მათ სამხრეთ აფრიკა ააყვავეს და რესპუბლიკა დააარსეს.

ჩვენი ნიკო ბაგრატიონი სამხრეთ აფრიკაში თავდაპირველად სანადიროდ ჩავიდა. მისი მემუარები და ყველაფერი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. 1921 წლის შემდეგ ნიკო ბურს წამებული ცხოვრება ჰქონდა. საქართველოში ბოლშევიკები რომ შემოგრიალდნენ, მუდმივ დევნაში იყო — მიდიოდნენ, ჩხრეკას ატარებდნენ, კომპრომატებს ეძებდნენ. 1933 წელს დაიღუპა.

ნიკო ბურს კომუნისტებმა სასახლე წაართვეს. ნიშანდობლივია, რომ მუხრანის სასახლეში გასაბჭოების შემდეგ ცხოვრობდა პირველი რევკომელი გიგლა ბერბიჭაშვილი, ილიას მკვლელი, რომელმაც ყველაფერი დაისაკუთრა — უნიკალური ხელნაწერები, წიგნები, ავეჯი.

***— შემდეგ არსად გამოჩენილა ეს უნიკალური ხელნაწერები?***

— არა, ყველაფერი გაქრა. მუხრანელებს ხშირად მივმართავდით, რომ დაებრუნებინათ, მაგრამ არავის არაფერი დაუბრუნებია.

***— ფაქტობრივად, ეს თქვენი სასახლეც იყო, ხომ?***

— დიახ. ნიკო და ჩემი პაპა ძმები იყვნენ. ჩემს დიდ პაპას 12 შვილი ჰყავდა, ულამაზესი ოჯახი იყო და ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ.

პაპაჩემი, დავითი, ნიკოზე უმცროსი გახლდათ. ის ოდესაში სწავლობდა, ცნობილი ვეტექიმი იყო. ნიკო ბაგრატიონი ყველანაირად გამორჩეული, 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი სიმაღლის, ძალიან გონებაგახსნილი და ნიჭიერი პიროვნება იყო. ცნობილი ახალგაზრდა ქართული დელეგაციის წევრი იყო რომანოვების მეფობის 300 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე. მოსკოვში დელეგაციას ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი ხელმძღვანელობდა.

ნიკო ბაგრატიონმა მოსკოვის შემდეგ ჯერ ვოლგაზე იმოგზაურა მეგობართან (ორბელიანთან) ერთად, მერე აფრიკაში სანადიროდ წავიდა.

ალექსანდრიაში რომ ჩავიდა, გაიგო, რომ ომი დაიწყო. დიდი ბრიტანეთი თავს დაესხა აფრიკის პატარა რესპუბლიკას. ეს იყო პირველი იმპერიალისტური ომი იმიტომ, რომ აფრიკის რესპუბლიკაში ალმასის საბადოები აღმოაჩინეს.

აფრიკაში რომ ჩავიდა, ნიკომ გაიგო, რომ ომი დაიწყო და მოხალისეთა რაზმში ჩაეწერა. ბურები კარგი მებრძოლები იყვნენ.

ჩვენ პატარა ერი ვართ. თუ ქეთევან წამებულს, შოთა რუსთაველს, დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ჯეროვნად არ შევაფასებთ, უცხოელი ამას გააკეთებს? მესმის, რომ პრეზერვატივიც საჭიროა, მაგრამ როგორ შეიძლება, მასზე ერისთვის სათაყვანო წმინდანების ხატები დაახატო? ჩვენი პოლიტიკა გონივრული არ არის.

***— ალბათ საზოგადოებაც შეიცვალა, თორემ ვის მოუვიდოდა აზრად პრეზერვატივზე თამარ მეფის დახატვა.***

— ეს საზოგადოება არ არის. ასე ცალსახად ცუდი ერი და კარგი ერი არ არსებობს, მაგრამ დამოუკიდებლობიდან 30 წელი გავიდა, 31-ში გავედი რუსთაველზე და გული მეტკინა.

***— რატომ?***

— ერთ-ერთმა ლიდერმა დაადანაშაულა ერი. ერის ლანძღვა არ შეიძლება. ჩვენ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი ვიყავი, მაგრამ დავკარგეთ ჩვენი პრიორიტეტები.

***— მუხრანში ჩადიხართ ხოლმე?***

— მუხრანში ორი თუ სამი სკოლაა. ხშირად ჩავდივარ ქეთევანობაზე და წიგნებიც ჩამაქვს და ვჩუქნი, მაგრამ არ კითხულობენ. ქეთევან წამებუ-



ლით არ უნდა იამაყო? მთელი საქრისტიანოს სამაგალითო წმინდანია.

***— რა უშლის ხელს მუხრანბატონების სასახლის ისტორიულ ძეგლად გამოცხადებასა და მუზეუმის შექმნას?***

— გულგრილობა. მაგალითად, ივანე ბაგრატიონის სასახლე, სადაც ადრე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იყო (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ეკუთვნოდა. მათი საცდელი ბაზა იყო), ინსტიტუტის რექტორმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ ერთ-ერთ ფირმას მიჰყიდა. დაირქვეს „მუხრანის ველი“. შემდეგ იმ ფირმამ მიჰყიდა სხვა ფირმას და ასე მოხვდა ყველაფერი ხაზარაძის ხელში. თითქოს დაიწყეს სასახლის აღდგენა, მაგრამ ისტორიულად ის იყო ტიპური იტალიური პალაცო — ქათქათა თეთრი და იტალიური ბაღია, რომელზეც ნიკო ბური წერს, რომ ჩვენს ოჯახს ეკუთვნოდა. ასევე იყვნენ ივანე (რომელიც ძალიან მდიდარი იყო) და მისი ძმა, გიორგი, რომელიც სენატორი გახლდათ და ამტკიცებდა, პატარა ერებმა უნდა დაივიწყონ საკუთარი ენები და იმპერიის ენაზე ისაუბრონო. მას ილია ჭავჭავაძემ გასცა საკადრისი პასუხი.

მუხრანში არის კარის ეკლესია, სადაც ქეთევან წამებულმა იქორწინა. ახლა შენდება ასევე ქეთევან წამებულის ეკლესია ახალ უბანში. ეს ადგილი ქართლის კულტურის ცენტრი უნდა გახდეს. უმჯობესია, იქ ბავშვებისთვის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი გაიხსნას. იქ არაფერი არ არის.

***— საერთოდ, საქართველოში მეფის სასახლე ძალიან ცოტაა. რაც არის შემორჩენილი, ხომ შეიძლება მათი რესტავრირება?***

— დიახ, ძალიან ცოტა სასახლე შემორჩა. ერთადერთი ზუგდიდის დადიანების სასახლე შემორჩა და წინანდალი. სხვას ვანგრევთ. ახალგორი დავკარგეთ.

მალე ალბათ ძალიან ცოტანი დავრჩებით. თუ შობადობის საკითხი არ მოგვარდა, ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ჩვენს მიწა-წყალს ჩვენვე უნდა მოვუაროთ.

# ოკუპირებულ აფხაზეთში გერმანული ინვესტიციები შედის

## ლავროვის მიმართვა ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი

მარიამ მჭედლიშვილი

**ოკუპირებული აფხაზეთი, არაღიარების მიუხედავად, ახერხებს მონაწილეობას ზოგიერთ საერთაშორისო გამოფენაში. აფხაზეთს თავისი სტენდები ჰქონდა დამასკოში, ბარსელონასა და სხვა ქალაქებში, სადაც მოხდა ამ რეგიონის სასურსათო შესაძლებლობებისა და ტურისტული პოტენციალის დემონსტრირება.**

ამ მიმართულებით აქტიურობს აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომლის ყოფილი პრეზიდენტი, გენადი გაგულია, ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრად დაინიშნა. ამ პალატას თავისი წარმომადგენელი — ვოლფგანგ მაცკე გერმანიაში ჰყავს.

ამ დღეებში იგი გერმანელ ინვესტორებთან ერთად აფხაზეთში იმყოფებოდა. აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტ თა-




მილა მირცხულავას თქმით, მაცკე პირნათლად ასრულებს პალატის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. აფხაზეთის მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებში, მათ შორის, „მწვანე კვირაში“, მისი დამსახურებაა.

გერმანელი ბიზნესმენი მიქაელ გოლდშმიტი აფხაზეთს ქვეყნად მოიხსენიებს და იქ თანხების დაბანდებას აპირებს:

— მეხუთედ ვარ აფხაზეთში. ეს პატარა, მშვენიერი ქვეყანაა. დაგვეხმარებით, რომ აქ მდგომარეობა ყოველწლიურად გაუმჯობესდეს. ვაპირებთ ინვესტიციების ჩადებას აფხაზეთში. ვიმედოვნებთ, რომ წვლილს შევიტანთ მისი ეკონომიკის განვითარებაში.

გერმანელი საქმიანი წრეები დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასაც ესაუბრნენ. საოკუპაციო რეჟიმის მმართველმა სტუმრებთან აფხაზეთის შესახებ „საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა“ ახსენა.

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური ურთიერთობები იმისათვის, რომ აფხაზეთის უკეთ ესმოდეთ სხვა სახელმწიფოებს. ქართული მხარე ცდილობს აფხაზეთის წარმოჩენას ოკუპირებულ ტერიტორიად. ეს მცდელობები ვერ აშინებს იმ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან ჩვენთან თანამშრომლობისათვის, — აღნიშნა ხაჯიმბამ.

რომელ სფეროში დაიწყებენ საქმიანობას გერმანელი ინვესტორები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში, უცნობია. არც ის არის გარკვეული, ბედავს თუ არა ამაზე პროტესტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მიდგომებს აფხაზეთის მიმართ არ ცვლის რუსეთი. წელს ოკუპირებული რეგიონი „გამარჯვების“ 25-ე და კრემლის მიერ დამოუკიდებლად ცნობის მე-10 წლისთავს ზეიმობს.

აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყებამ თავისი არსებობის 25-ე წლისთავი ამ დღეებში სპეციალური კონფერენციით აღნიშნა. მასზე წაიკითხეს რუსეთის მთავარი დიპლომატის სერგეი ლავროვის მიმართვა.

ლავროვის მტკიცებით, რუსეთი და აფხაზეთი ერთობლივად წყვეტენ რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ამოცანებს, აფართოებენ აფხაზეთის საერთაშორისო პოზიციებს და ერთიანი ფრონტით გამოდიან ჟენევის დისკუსიებზე.

საოკუპაციო რეჟიმს წლევანდელი საზეიმო ღონისძიებების პომპეზურად აღნიშვნის დიდი სურვილი აქვს, თუმცა შექმნილი სირთულეები ამის საშუალებას არ იძლევა.

ფინანსური პრობლემებისა და მრავალნაირი კრიზისის გამო აფხაზეთის 2017 წლის ბიუჯეტიც ვერ შესრულდა. საზეიმო ღონისძიებები მაინც გაიმართება, ოღონდ — შეზღუდულად, ფაქტობრივად, სტუმრების გარეშე. სოხუმი რამდენიმე ქალაქთან არის დაძმობილებული, თუმცა მათი დელეგაციების მოწვევა ვერ ხერხდება. უსახსრობის გამო გაჩერებულია ის პროექტებიც, რომლებიც დაძმობილებულ ქალაქებს ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ.

# 2002 წელს მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილი იყო



ეროვნული სტატისტიკის სამსახურმა საქართველოს 1994-2014 წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები გადაიანგარიშა და აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის ჯამური რიცხოვნობა დღევანდელ რეალობას არ შეესაბამება. როგორც კვლევაში ვკითხულობთ, მოსახლეობის აღრიცხვიანობის თავიდან დათვლა საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარმა პოლიტიკურმა თუ სოციალურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა განაპირობა.

კერძოდ, კვლევის მიხედვით, მაგალითად, 2002 წლის მოსახლეობის აღწერისას, ფაქტიურზე მეტი მოსახლეობა დაფიქსირდა. მიზეზი სხვადასხვაგვარია, მათ შორის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი კი ემიგრანტებია. ხშირ შემთხვევაში შინამეურნეობის წევრები, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ (ძირითადად არალეგალურად) 2002 წლის აღწერის დროს საქართველოში მუდმივად მცხოვრები შინამეურნეობის წევრების მიერ დაფიქსირდნენ, როგორც ქვეყანაში ფაქტობრივად მცხოვრები მოსახლეობა.

სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ 2002 წლის მოსახლეობის აღწერისას, ფაქტიურზე მეტი მოსახლეობა დაფიქსირდა. ხშირ შემთხვევაში შინამეურნეობის წევრები, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ (ძირითადად არალეგალურად) აღწერის დროს საქართველოში მუდმივად მცხოვრები შინამეურნეობის წევრების მიერ დაფიქსირდნენ, როგორც ქვეყანაში ფაქტობრივად მცხოვრები მოსახლეობა, რამაც განაპირობა მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდა.

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ 2002 წლის აღწერის შედეგებით, 1990-2001 წლებში ემიგრანტების რაოდენობამ შეადგინა 113.7 ათასი, მაშინ, როდესაც საქსტატის ახალი შეფასებით იმავე პერიოდში მხოლოდ გარე მიგრაციული სალდო -1 280.8 ათასი კაცით განისაზღვრა.

ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით, 2002 წელს მოსახლეობის რიცხოვნობა არ აღემატებოდა 4 მილიონ კაცს. ამასვე ადასტურებს ყოველკვარტალურად ჩატარებული შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევაც, – აღნიშნულია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ასევე კვლევაში ვკითხულობთ, რომ ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევის მიხედვით, განსხვავებამ 2002 წლის მოსახლეობის აღწერისა და შეფასებით მიღებულ მონაცემებს შორის 8.7 პროცენტი შეადგინა.

# საქართველოში რქოსანი პირუტყვის რაოდენობა შემცირდა



მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 2017 წლის I კვარტალთან შედარებით 5.0 პროცენტით შემცირდა, ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სააგენტო ავრცელებს. მათი ინფორმაციით, 2018 წლის I კვარტლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ 984.1 ათასი სული შეადგინა. აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამურმა რაოდენობამ 473.2 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.0 პროცენტით ნაკლებია.

მონაცემების მიხედვით, ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.2 პროცენტით გაიზარდა და 1.3 მლნ. სულს მიაღწია.

2018 წელის პირველი კვარტლის მონაცემებით, ღორების რაოდენობა 177.2 ათასი სულით განისაზღვრა, რაც 10.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო ფრინველის რაოდენობამ 8.4 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 2.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქსტატის მონაცემებით ხორცის წარმოებამ გასულ წელს 15.0 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2017 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 9.5 პროცენტით მეტია.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებულია 161.7 მილიონი ცალი კვერცხი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.2 პროცენტით აღემატება.

2018 წლის I კვარტალში რძის წარმოებამ 98.3 მლნ. ლიტრი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სააგენტო ავრცელებს. მათი ინფორმაციით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით რძის წარმოება 1.4 პროცენტით ნაკლებია.

# სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროს" ხანძრის შედეგად დაზარალებულებს კომპენსაცია უნდა გადაეცეთ



სასამართლოს გადაწყვეტილებით, სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროს" ხანძრის შედეგად დაზარალებულებს კომპენსაცია უნდა გადაეცეთ.

ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს. როგორც სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 33 მოსარჩელეს 3000 ლარი უნდა გადაეცეს ერთჯერადად.

– 2018 წლის 18 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სრულად დააკმაყოფილა 33 მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, კომპენსაციის სახით, მოსარჩელეების მიმართ, ერთჯერადად 3000 ლარის გაცემასთან დაკავშირებით, მოპასუხეების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2017 წლის 10 აპრილს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ რიგგარეშე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება დაზარალებულთათვის ერთჯერადი დახმარების სახით 3.000 ლარის გაცემის თაობაზე. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მინიჭებული „დაზარალებულის" სტატუსის მიუხედავად, მოსარჩელე პირებზე, დახმარების გაცემა არ მომხდარა. მოსარჩელეებმა განმარტეს, რომ 2017 წლის 15 აგვისტოს ერთჯერადი დახმარების გაცემის მოთხოვნით, უშედეგოდ მიმართეს ადმინისტრაციულ ორგანოებს, თუმცა მათ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია.

მოპასუხეთა განმარტებით, სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროს" ხანძრის შედეგად დაზარალებულ პირთათვის ერთჯერადი დახმარების გასაწევად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოძიებული იქნა ფინანსური ხარჯები. ამასთან, დაზარალებულთა სიების დაზუსტების მიზნით, მათივე დავალებით კერძო კომპანიებმა წარადგინეს იმ პირთა სიები, რომლებიც დაზარალებულებთან სამართლებრივ ურთიერთობაში იყვნენ. დაზუსტებულ სიებში ვერ მოხვდნენ მოსარჩელეები, ვინაიდან კერძო კომპანიებს მათ შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის შედეგად სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა და დაავალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელეების მიმართ ერთჯერადი დახმარების გაცემა, თითოეულის სასარგებლოდ 3.000 ლარის ოდენობით, – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, „ბავშვთა სამყაროში" გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულებისთვის ზარალის ანაზღაურების შესახებ „ბიზნესპრესნიუსი" რამდენიმე დღის წინ წერდა.

# მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებლად, სავარაუდოდ, 7 მლნ ევროს სამუშაოები განხორციელდება



სავარაუდოდ, 7 მილიონი ევროს ინვესტიციები იქნება გასაკეთებელი იმ სამუშაოებზე, რომლებიც დღეს არის უკვე იდენტიფიცირებული. ამის შესახებ პირველმა ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა 2023 წელს თხილამურითა და სნოუბორდით თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში ჩატარების ხარჯებთან დაკავშირებული კითხვის პასუხად განაცხადა.

– ამ წუთში გვაქვს მიახლოებითი გათვლები გაკეთებული. სავარაუდოდ, 7 მილიონი ევროს ინვესტიციები იქნება გასაკეთებელი იმ სამუშაოებზე, რომელიც დღეს არის უკვე იდენტიფიცირებული. თუმცა, რა თქმა უნდა, პროექტის განვითარებისას, ჩვენ ახლა აქტიურად დავიწყებთ მუშაობას, დაზუსტდება ბიუჯეტი. მინდა აღვნიშნო, რომ, რა თქმა უნდა, ეს ინფრასტრუქტურა არ მოემსახურება მხოლოდ ერთ ჩემპიონატს, ეს არის ინფრასტრუქტურა, რომელიც ამ ქვეყანაში დარჩება. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ყოველწლიურად არაერთი ათეული მილიონის ინვესტიციას ვახორციელებთ მთის კურორტებში. წელსაც მე დარწმუნებული ვარ, რომ საკმაოდ კარგი ინფრასტრუქტურული განვითარება გვექნება.

წელს გუდაურში, დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ დავაკონტრაქტებთ და მოესწრება სამი საბაგიროს მშენებლობა. შესაბამისად, ყველა მიმართულებით ჩვენ ძალიან აქტიურები ვიქნებით. თავად ღონისძიებასთან, მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, ჩვენი ქვეყნისთვის ესაა უმნიშვნელოვანესი, რადგან ზამთრის სპორტის მიმართულებით ჩვენი ქვეყანა გამოჩნდა მსოფლიო რუკაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყნისკენ მოპყრობილი იქნება უკვე ყურადღებაც და, შესაბამისად, ტურისტების თვალიც, თუ რა ხდება ჩვენ ქვეყანაში, როგორ შეიძლება ჩვენს ქვეყანაში დასვენება. ეს ნიშნავს, რა თქმა უნდა, ახალ სამუშაო ადგილებს, ახალ ტურისტებსა და ახალ შემოსავალს ჩვენს ქვეყანაში, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

# საცალო ქსელში საწვავი შესაძლოა 3 ლარამდე გაძვირდეს



საქართველოს საცალო ქსელში საწვავი შესაძლოა 3 ლარამდე გაძვირდეს. ამის შესახებ „კომერსანტთან" ბიზნესის ანალიტიკოსი ჯაბა თარიმანაშვილი საუბრობს. მისი განცხადებით, ბრენტის ტიპის ნავთობის ფასები სტაბილურად იზრდება ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში, რაც განპირობებულია მყარი მოთხოვნით, ირანზე სანქციების ხელახალი დაწესებით, ვენესუელაში ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული მოპოვების სწრაფი შემცირებით და ნიგერიის ნავთობის ექსპორტის შეფერხებით.

მისი ინფორმაციით, ლიბიასა და ნიგერიაში 2018 წლის ბოლოსა და 2019 წლის დასაწყისში მოსალოდნელი არჩევნები, ბაზრის მონაწილეებში აჩენს უარყოფით მოლოდინებს. ასევე არსებობს მოლოდინი, რომ აშშ გააფართოვებს სანქციებს რუსეთზე, შესაბამისად ნავთობის ფასის მატების მოლოდინები მყარდება. აღნიშნული ცვლილებები დადებითად აისახება იმ ქვეყნებზე, რომელთაც არ შეეხო სანქციები, ამასთანავე ბაზრის სოლიდური მიმწოდებლების გათიშვა, მოპოვების მაღალი თვითღირებულების გამო აშშ-ს აძლევს შესაძლებლობას, განავითაროს ფიქლის ნავთობის მოპოვება და მიწოდება.

– საქართველო 98%-ით არის დამოკიდებული იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე, შესაბამისად ფასების ზრდა გლობალურ ბაზრებზე პირდაპირპროპორციულია ნავთობპროდუქტების ფასებისა საცალო ქსელში. თუ დღეისათვის ბრენტის ტიპის ნავთობი ბარელზე 80 დოლარის ფარგლებშია, ხოლო პრემიუმის ტიპის ბენზინისა და ევრო დიზელის ფასი საცალო ქსელში 2,40 ლარის ფარგლებშია ერთ ლიტრზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნავთობის ფასის მატება ბარელზე 100 დოლარამდე გამოიწვევს საქართველოს საცალო ქსელში საწვავის ლიტრზე 3 ლარამდე გაძვირებას, – აცხადებს თარიმანაშვილი.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ბაკურიანი და გუდაური მსოფლიო მიმართულება ხდება"



ჩვენ ვჩნდებით ზამთრის სპორტის სახეობების, ზამთრის ტურიზმის მიმართულებების მსოფლიო რუკაზე. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავისუფალი სტილით სრიალში თხილამურსა და სნოუბორდში 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში გამართვასთან დაკავშირებით განაცხადა.

პრემიერის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

– არ შემიძლია, არ მოგილოცოთ ის წარმატება, რომელიც გუშინ, საღამოს საბერძნეთში, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა გამოაცხადა. ამ გადაწყვეტილებით, 2023 წელს საქართველო იქნება მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი თხილამურით და სნოუბორდით თავისუფალი სტილით სრიალში.

კონკრეტულად იყო ნათქვამი, რომ ბაკურიანი და გუდაური ხდება მსოფლიო მიმართულება. ეს გადაწყვეტილება არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებას, თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას და არა მხოლოდ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ზამთრის მიმართულებებით გახდეს ცნობადი, არამედ ეს არის გადაწყვეტილება, რომელსაც საქართველო გადაჰყავს უმაღლეს ლიგაში და ჩვენ ვჩნდებით ზამთრის სპორტის სახეობების, ზამთრის ტურიზმის მიმართულებების მსოფლიო რუკაზე. ეს არის უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება და კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ამ ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას, – განაცხადა პრემიერმა.

2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატს თავისუფალი სტილით სრიალში – თხილამურსა და სნოუბორდში საქართველოს სამთო კურორტები – ბაკურიანი და გუდაური უმასპინძლებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციამ (FIS) საბერძნეთში გამართულ კონგრესზე მიიღო.

# გურამ ფალავანდიშვილი: „მოფაშისტო ელემენტები“ ჩვენთვის მიუღებელია“

გულიკო ბალაძე

17 მაისს პოლიციამ სხვადასხვა პირები დააკავა, რომ ხელი არ შეეშალათ ლგბტ-ების აქციისთვის. მათ შორის იყო „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე გურამ ფალავანდიშვილი. ის პოლიციამ დააკავა და სან-ზონის განყოფილებაში ჰყავდა, სანამ სახელმწიფო კანცელარიის წინ აქცია არ დასრულდა.

— პოლიცია ლგბტ-ს მხარესაა, შეკრული არიან სოდომისტურ ძალებთან და საზოგადოების წინაშე ტყუიან, — განაცხადა **გურამ ფალავანდიშვილმა** „ახალ თაობასთან“.

***— ბატონო გურამ, 17 მაისს თქვენ სამართალდამცავებმა დაგაპატიმრეს...***

— დიახ, მაგრამ ეს არ იყო დაპატიმრება, ეს გახლდათ ელგბტ პირების მხრიდან ძალადობა ქართველ საზოგადოებაზე.

***— თქვენ რატომ დაგაპატიმრეს?***

— დამაპატიმრეს, რომ არ მოგვეხდინა საპროტესტო აქციის ორგანიზება. ზოგადად ლიდერები დააპატიმრეს, რომ არ მოგვეხდინა აქციის ორგანიზება და არ დაგვეკავებინა კანცელარიის წინა ტერიტორია, რომელიც არის ქართველი ერის საკუთრება.

***— სად გადაგიყვანეს?***

— მე სან-ზონაში პოლიციის განყოფილებაში გადამიყვანეს.

***— პოლიცია როგორ გექცეოდათ?***

— პოლიცია კარგად გვეპყრობოდა და ჩვენ მხარეს იყო, მაგრამ მაინც ასრულებდა სოდომისტების შეკვეთას და იზოლირებული ვყავდით. მიუხედავად იმისა, ყავას გვალევინებდნენ და პატივისცემით გვეპყრობოდნენ, მაინც უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი ვიყავით.

***— აქციაში არ მიგიღიათ მონაწილეობა? თქვენ რომელ საათზე დაგაკავეს?***

— მე 4 საათზე დამაკავეს და კანცელარიის წინ გამართულ აქციაში მონაწილეობა არ მიმიღია.

***— მანამდე ოჯახის სიწმინდესთან დაკავშირებით ხომ მოეწყო მსვლელობები, თქვენ მსვლელობაში მონაწილეობდით?***

— ოჯახის სიწმინდესთან დაკავშირებით მსვლელობაში ვმონაწილეობდი.

***— როდის გაიგეთ, რომ ლგბტ თემი აქციას მართავდა?***

— ღამით. დააანონსეს, რომ კანცელარიასთან აქციას გამართავდნენ. ჩვენ ვითხოვდით, აქცია არ ჩაეტარებინათ, მაგრამ ჩაატარეს.

***— წინა დღით, პრესკონფერენცია ხომ ჩაატარეს, აქციას აღარ ვმართავთო? პირადად მოვისმინე, რომ მათ აქციის ჩატარებაზე უარი თქვეს.***

— პრესკონფერენციაზე განაცხადეს, აქციას არ ვატარებთო, მაგრამ შემდეგ დაგეგმეს კანცელარიის წინ გამოსვლა.



***— საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც კანცელარიასთან...***

— იმიტომ, რომ იქ ყველაზე კარგად შეიძლებოდა მათი დაცვა, იქ ვიწრო ქუჩებია. მათ დაცვა ჩაუყენეს. ღია ასპარეზზე რომ გამოსულიყვნენ, ხალხი ლგბტ-ებს იქ არ გააჩერებდა. ალბათ, შემდეგ წელს ამერიკის საელჩოში შეიყვანენ, თორემ ჩვენ იქ არ მივუშვებთ.

***— თქვენ გინდოდათ ხელი შეგეშალათ ლგბტ-ების აქციისთვის?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ ყოველთვის შევუშლით ხელს სიბილწის გამომზეურებასა და სოდომის პროპაგანდას. თუ სახელმწიფო პატიობს, მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ, ისინი გავყაროთ მოედნიდან.

***—ეგ ძალადობა ხომ არ იქნება? ძალადობა არ არის კარგი.***

— ეს ძალადობა არ არის, თავდაცვაა. როცა ადამიანი გამოვა და პლაკატს გამოგიტანს, რათა შენი შვილი გარყვნას, ამისთვის პლაკატი რომ დაახიო თავზე, ეგ ძალადობა არ არის.

როდესაც პლაკატი გამოაქვს ქუჩაში და გეუბნება, გაფერადდიო და გარყვნილებას ქადაგებს, ამ დროს შენ პლაკატი რომ წაართვა, გააგდო და საზოგადოების გარყვნის უფლება არ მისცე, ეს ძალადობა არ არის. ლგბტ-ები ძალადობენ. ძალადობას მათი მხრიდან აქვს ადგილი. ჩვენი მხრიდან ვაჟკაცობაა და არა ძალადობა.

***— ე.ი. თქვენ გინდოდათ, უბრალოდ, სახელმწიფო კანცელარიის წინა ტერიტორია დაგეკავებინათ, რომ მათ ველარ მოეწყოთ აქცია.***

— დიახ, რომ არ მომხდარიყო ბინძური იდეებისა და სოდომის პროპაგანდა.

***— ძალადობაზე იმიტომ გკითხეთ, რომ ახლა ტელევიზიებში მუდმივად საუბრობენ, „მოფაშისტო ელემენტები“ იყვნენო.***

— „მოფაშისტო ელემენტები“ ჩვენთვის მიუღებელია. არის ხალხი, რომელიც ლგბტ-ს ფიზიკურ ლიკვიდაციას ითხოვს. ჩვენ მაგას არ ვითხოვთ. ჩვენ ვითხოვთ, არ მოახდინონ პროპაგანდირება. იყვნენ სახლში. მათ სახლში არავინ მიუვარდება. ქალბატონს არავინ მივარდნია, პრეზერვატივებზე ჩვენი წმინდანების დახატვის გამო.

***— სასამართლოში უჩივლეს.***

— კი მაგრამ, ისე ვინმემ რამე აკადრა? არავის არაფერი უკადრებია. ჩვენ სახლში არავის ვუვარდებით. თუ ქუჩაში გამოვლენ და ჩვენს შვილებზე გავლენის მოხდენას მოინდომებენ, ამას ჩვენ აღვკვეთავთ.

***— ანუ თქვენ არ გეგმავდით ძალადობას, გინდოდათ ტერიტორია დაგეკავებინათ, რომ ისინი იქ არ მისულიყვნენ.***

— ჩვენ არ ვძალადობთ. ჩვენ მათ ძალა დავუპირისპირეთ. პოლიციის ჯარი იყო მისული და ხალხის ჯარიც მივიდა. ეს არის საზოგადოების ჯარისა და ლგბტ-ების დაპირისპირება.

***— ახლა თავისუფალი ხართ თუ პოლიციასთან რაიმე პრობლემა გაქვთ?***

— პოლიციასთან პრობლემა მაქვს, რადგან პოლიციას ვაკისრებ პასუხისმგებლობას.

***— რა პასუხისმგებლობას?***

— პოლიცია არის ამ უსაძაგლესი სოდომის დემონსტრირების თანამონაწილე. ყველანაირად ცდილობენ, ისინი გამოიყვანონ ქუჩაში და საზოგადოებისთვის მიუღებელი და მავნებლური სახელმწიფოს საწინააღმდეგო იდეა აქადაგებინონ, რაშიც დამნაშავეა მთავრობა. ამით ნებისმიერი პოლიციელი იღებს ვალდებულებას, ჩვენი შვილების გარყვნის თანამონაწილე გახდეს.

***— როგორ?***

— პოლიცია ლგბტ-ს მხარესაა, შეკრული არიან სოდომისტურ ძალებთან და საზოგადოების წინაშე ტყუიან.

***— პოლიციასთან სამართლებრივი პრობლემა გაქვთ თუ ისე გამოგიშვეს?***

— სამართლებრივად პოლიციასთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. დამაკავეს, აქციის ორგანიზება რომ არ მოგვეხდინა და ისე გამომიშვეს, ვითომ არაფერი მომხდარა.

# შეყვარებულის სასტიკი მკვლელობა თემქაზე — ლადო გრიგალაშვილს ბრალი დაუმძიმდა

ბოლო დროის ერთ-ერთი სასტიკი მკვლელობის შესახებ ახალი დეტალები ხდება ცნობილი: 20 წლის შეყვარებულის მკვლელობაში ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილს ბრალი დაუმძიმდა. ახალგაზრდისთვის წაყენებული ახალი ბრალი განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის ჩადენას გულისხმობს. ბრალდების მხარემ უკვე მიიღო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, მოკლულ ანა ნაცვლიშვილს 33 ჭრილობა აქვს მიყენებული.

ექსპერტიზის მიხედვით, 20 წლის გოგონას ასევე თავის არეში ბლაგვი საგნით ჩარტყმის შედეგად მიყენებული ჭრილობა აღენიშნებოდა.

„ნიუპოსტი“ ლადო გრიგალაშვილის ადვოკატს, ნაირა ოტიაშვილს ესაუბრა. დაცვის მხარე პროკურატურის ექსპერტიზის დასკვნას უნდობლობას უცხადებს და ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას აპირებს.

— ამოღებული დანის ზომები და ჭრილობების ზომები არ ემთხვევა ერთმანეთს. გენეტიკური მასალა არ არის. თითის ანაბეჭდები არ ემთხვევა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ანაბეჭდებს, მეტი რა გითხრათ, გაუგებარია, რითი ამტკიცებს ბრალდება, რომ ლადო გრიგალაშვილი დამნაშავეა?! ჩვენც დავნიშნეთ ექსპერტიზები, რა თქმა უნდა, კითხვები გვაქვს. რაც შეეხება 33 ჭრილობას, აქვს თავში მჭრელი ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობა, რომელიც გამოძიების მიერ არ არის ამოღებული, შესაბამისად, არ ვიცით, ვინ მიაყენა. გოგონა არის დაცემული დიდ ლოდს და ქვისგან აქვს მიყენებული ჭრილობები. დანით აქვს მიყენებული ჭრილობა მხოლოდ ყელის არეში, — აცხადებს ადვოკატი.



მისი თქმით, მკვლელობაში ბრალდებული დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა გაირკვა, რომ გრიგალაშვილი უარს ამბობს, მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს.

რეზონანსულ საქმეზე მოსამართლე პირველ წინასასამართლო სხდომაზე 22 მაისს იმსჯელებს.

გამოძიების ოფიციალური ინფორმაციით, მიმდინარე წლის 22 თებერვალს ბრალდებულმა მსხვერპლი სახლიდან 05:30 საათზე გამოიყვანა და კორპუსის უკან, სკვერში შურისძიების ნიადაგზე მოკლა.

ანა ნაცვლიშვილი მიყენებული ჭრილობებისგან ადგილზე გარდაიცვალა.

საქმის მასალების თანახმად, შეყვარებულის მკვლელობის შემდეგ 21 წლის ბიჭმა, ქურთუკი გამოიცვალა და მკვლელობის ნივთმტკიცება — დანა ავტოფარეხში დამალა.

ბრალდების მხარის მტკიცებით, მკვლელობაში ბრალდებული გამთენიისას ნაცვლიშვილის სახლში მივიდა და მოკლულის დას უთხრა, რომ ანას ეძებდა, რომელიც მის შეტყობინებებს არ პასუხობდა.

პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობის შემდეგ ახალგაზრდა ალიბის შექმნას შეეცადა და მეგობრებს შეყვარებულის მოძებნაში დახმარება სთხოვა და მათთან ერთად ნაცვლიშვილს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ეძებდა.

გავრცელებული ინფორმაციით, საქმეში მტკიცებულების სახით დევს ფარული ვიდეო მასალა, რომელიც სამართალდამცავებმა გრიგალაშვილს გადაუღეს.

ზღვის უბნის მცხოვრებლები იხსენებენ, რომ თავდაპირველად ხმა გავრცელდა, რომ გოგონა ცოცხალი იყო და საავადმყოფოში იმყოფებოდა.

არსებული ინფორმაციით, კლინიკაში ანა ნაცვლიშვილის მამას ბრალდებულიც გაყვა, საიდანაც ის პოლიციამ დაკითხვაზე გადაიყვანა, სადაც გრიგალაშვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა.

არსებული ინფორმაციით, დაკავებისას გრიგალაშვილმა პოლიციას უამბო, რომ შეყვარებული ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა. კერძოდ, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დაკითხვისას ლადო გრიგალაშვილმა სამართალდამცავებს უთხრა, რომ თითქოს დანაშაულამდე რამდენიმე დღით ადრე, ანა შავ ბე-ემვეში, უსიამოვნო ვითარებაში ნახა და უნდოდა გაერკვია ეს ამბავი, მაგრამ ანი იმ დღეებში მამამ სოფელში წაიყვანა და ვერ ნახა. იმ ღამით კი, სახლიდან რომ გამოიყვანა და ჰკითხა, ვისთან დადიხარო, გოგონამ კატეგორიულად უარყო ყველაფერი. ამის შემდეგ ბე-ემ-ვე უხსენა და როცა ანი შეეპასუხა, „მისმა სიტყვებმა გონება დამიბნელა, ქვა ავიღე, თავში ჩავარტყი, წაიქცა და მერე დანა რამდენჯერმე ჩავარტყი“-ო.

**ნიუპოსტი**


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში.

საბუთები აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის მიიღება 2018 წლის 25 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით ყოველდღე, 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, I სართული, ოთახი №22).

ინფორმაცია საკონკურსო აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების, კონკურსის პირობებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე — www.tsmu.edu


# მე-8 კლასელმა გოგონამ მე-9 კლასელი ბიჭი დაჭრა



## რა მოხდა 87-ე სკოლაში

87-ე სკოლაში მერვეკლასელმა გოგონამ საკანცელარიო ნივთით სხეულზე მსუბუქი დაზიანება მიაყენა მეცხრეკლასელ ბიჭს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ მიმდინარე წლის 17 მაისს თბილისში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, მე-8 და მე-9 კლასების ორ მოსწავლეს შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მერვეკლასელმა გოგონამ საკანცელარიო ნივთით სხეულზე დაზიანება მიაყენა მეცხრეკლასელ ბიჭს, რომელიც, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს.

## კალეიდოსკოპი

### სამფეხა ალიგატორმა სახლის ბინადარნი ტყვედ აიყვანა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ ნორტ-ჩარლსტონში სამფეხა ალიგატორი კერძო სახლის კართან დაბინავდა, რის გამოც მისი მცხოვრებლები გარეთ გამოსვლას ვერ ახერხებდნენ.



ნორტ-ჩარლსტონის მცხოვრებ ლუიზა მონფეიტს დილის ხუთის ნახევარზე ხმამაღალი კაკუნის გამო გაეღვიძა. მისმა მეუღლემ ქუჩაში გაიხედა და მათი კარის ზღურბლთან ორმეტრიანი ალიგატორი აღმოაჩინა, რომელსაც ერთი თათი აკლდა.

— ჩვენ გაგვიმართლა, რომ ეს სწორედ ამ დროს მოხდა, — განაცხადა მონფეიტმა, — ეს რომ ორი საათის დაგვიანებით მომხდარიყო, ჩემი ქალიშვილი გავიდოდა გარეთ და ალბათ ცხოველს დააბიჯებდა.

შტატის ბუნების რესურსების დეპარტამენტმა შემთხვევის ადგილზე ალიგატორების სპეციალისტები გააგზავნა. მათ რეპტილიას თავზე ყულფი გადააცვეს, სახლის კარს მოაშორეს, რის შემდეგაც პირი აუკრეს და თავიანთ სატვირთო მანქანაზე მოათავსეს. მოგვიანებით, მტაცებელი ცხოველი დააძინეს.

### ბავშვებმა უზარმაზარი პითონის ზურგზე მჯდომებმა გაისეირნეს



სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეორგოლი, რომელშიც ბავშვები უზარმაზარი პითონის ზურგზე წამოსკუპებულები სეირნობენ.

ვიდეორგოლში, რომელიც ინდონეზიაშია გადაღებული, პატარა გოგონა გველს ზურგზე აჯდება, რომელიც მის გვერდით ეზოში მისრიალებს. ქვეწარმავლის ზურგზე შემდგარი გოგონა მასზე ნელა მიაბიჯებს სახლისკენ. მეორე გოგონა მის უკან ადგილის დაკავებას ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფეისბუქში გამოქვეყნებულმა ამ ვიდეომ დაახლოებით სამ მილიონამდე ნახვა მოაგროვა.

ვიდეორგოლზე ასახული ბადურისებრი პითონები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია გავრცელებული. ისინი მსოფლიოში ყველაზე დიდ გველებად ითვლებიან. მათმა სიგრძემ შესაძლოა შვიდ მეტრს გადააჭარბოს. ისინი იკვებებიან მაიმუნებით, წვრილი ჩლიქოსნებით, მღრღნელებით, ფრინველებით, სხვა რეპტილიებით. ხშირად ესხმიან თავს შინაურ ცხოველებს, მათ შორის ძაღლებს, თხებსა და ღორებს.

### სოკოს საკრეფად წასულმა ამერიკელმა ორთავიანი შველი აღმოაჩინა

ამერიკის მინესოტას შტატის მცხოვრები სოკოს შესაგროვებლად ტყეში იყო წასული, როდესაც ორთავიან მკვდარ თეთრკუდა შველს წააწყდა.



მამაკაცმა ამის შესახებ სატყეო მეურნეობას აცნობა და ცხოველის სხეული შტატის ბუნებრივი რესურსების სამინისტროში იქნა გადატანილი. იქ ცხოველის გვამი გაყინეს შემდგომი კვლევების ჩასატარებლად.

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ცხოველის ხერხემალი გაორებულია და მისგან ორი კისერია გამოზრდილი ცალ-ცალკე თავებით. ცხოველი მკვდარი დაიბადა, ვინაიდან ფილტვები ბოლომდე არ ჰქონდა ჩამოყალიბებული. შველს ორი საჭმლის მომნელებელი სისტემა ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ერთი იყო სრულფასოვანი, ასევე ორი გული, თუმცა მხოლოდ ერთი ღვიძლი.

ჯორჯიის უნივერსიტეტის ზოოლოგმა ჯინო დ,ანჯელომ აღნიშნა, რომ ასეთი ანომალია უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საერთაშორისო

### ამერიკის დაზვერვას ახალი შეფი ჰყავს



ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ახალი დირექტორი ჰყავს. სენატმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ამ პოსტზე ჯინა ჰასპელის დანიშვნას დაუჭირა მხარი.

ჰასპელს მხარი დაუჭირეს სენატორმა დემოკრატებმაც. ორმა რესპუბლიკელმა ხმა მის წინააღმდეგ მისცა.

ჯინა ჰასპელი პირველი ქალია, რომელიც ამერიკის დაზვერვის შეფი გახდა.

### ბერლუსკონი: „მზად ვარ, იტალიის პრემიერი გავხდე“



იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პარტია „ფორცა, იტალიას“ ლიდერი, 81 წლის სილვიო ბერლუსკონი აცხადებს, რომ მზად არის, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდეს, თუ პრეზიდენტი სერჯიო მატარელა პარლამენტს მის კანდიდატურას წარუდგენს.

— მე ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრის მანდატი მემარჯვენე-ცენტრისტულ კოალიციას უნდა მიეცეს, რათა მათ საკუთარი პროგრამა წარმოადგინონ. ჩვენ შევძლებთ ხმათა უმრავლესობის მიღებას და დიდი ხნით მოვალთ მთავრობაში, — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ამასთან, ბერლუსკონი ამბობს, რომ მისი გამოცდილება ქვეყანამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს.

— სილვიო ბერლუსკონი, რომელსაც მთავრობაში ყოფნის 9-წლიანი და „შვიდეულსა“ და „რვიანში“ სამჯერ თავმჯდომარეობის გამოცდილება აქვს, რეაბილიტაციის შემდეგ კვლავ ხელმისაწვდომია საჯარო სამსახურისთვის. ჩვენ პიროვნებების დეფიციტი გვაქვს, ამიტომ მე მზად ვარ და არ არსებობს სხვა კანდიდატი, რომელიც სილვიო ბერლუსკონის შეედრებოდა, — აღნიშნა იტალიის ყოფილმა პრემიერმა ბერლუსკონიმ.

### შავქათ მირზიოევი მაიკ პომპეოს შეხვდა



გრძელდება უზბეკეთის პრეზიდენტ შავქათ მირზიოევის ვიზიტი აშშ-ში. ტრამპის შემდეგ ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს შეხვდა.

საუბარი აშშ-უზბეკეთის მომავალ ურთიერთობებს შეეხო.

მირზიოევმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ პომპეოსთან შეხვედრის შედეგებით კმაყოფილია.

— დარწმუნებული ვარ, აშშ-უზბეკეთის ურთიერთობები აღდგება, — თქვა მან.

### ვლადიმერ პუტინი ბაშარ ასადს შეხვდა



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სოჭში სირიის დიქტატორ ბაშარ ასადს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

პუტინმა აღნიშნა, რომ ტერორისტების წინააღმდეგ სამთავრობო ძალებმა შთამბეჭდავ გამარჯვებებს მიაღწიეს. პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ასადს მომავალშიც მხარს დაუჭერს.

— ყველა უცხოურმა ფორმირებამ, რომლებიც სირიის ტერიტორიაზე კანონიერი მთავრობის ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებიან, ქვეყანა უნდა დატოვოს, — თქვა პუტინმა.

### ვიშინსკის წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს



ხერსონის სასამართლომ 60-დღიანი პატიმრობა შეუფარდა ჟურნალისტ კირილ ვიშინსკის, რომელიც აქტიურ ანტიუკრაინულ საქმიანობას ეწეოდა.. ვიშინსკი უკრაინაში „რია ნოვოსტის“ წარმომადგენელი იყო.

— „რია ნოვოსტი“ არა მხოლოდ ცილისმწამებლურ ინფორმაციებს ავრცელებდა, ის უკრაინის მოსახლეობას აჯანყებისა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობისკენ მოუწოდებდა, — აცხადებს უკრაინის პარლამენტის დეპუტატი მოსიიჩუკი.

ყირიმელ სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა სერგეი ცეკოვმა ვიშინსკის დაკავება თავისუფალი სიტყვის დევნად მონათლა. მან უკრაინის წინააღმდეგ სანქციების შემოღება მოითხოვა.

### რიჩარდ პაიპსი გარდაიცვალა



გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ პაიპსი, რომელმაც სახელი რუსეთის ისტორიისადმი მიძღვნილი შრომებით გაითქვა.

პაიპსი 1923 წელს პოლონეთში დაიბადა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ოჯახთან ერთად ჯერ იტალიაში, შემდეგ აშშ-ში გაიქცა. მსახურობდა ამერიკის სამხედრო დაზვერვაში.

მისი ნაშრომები გამოირჩევა მასალის ღრმა ცოდნით, დაწერილია სხარტი, მოქნილი ენით. პაიპსმა ზუსტად დააფიქსირა რუსეთის ისტორიის უმთავრესი კანონზომიერება: ხელისუფლების დესპოტიზმი და თვითნებობა, მისწრაფება საკუთარი მოქალაქეების დაბეჩავებისაკენ.

### ირანში რუსეთის მოქალაქეს სიკვდილი მიუსაჯეს



ირანის სასამართლომ რუსეთის მოქალაქე ჰასანოვს სიკვდილი მიუსაჯა. ის ისლამური სახელმწიფოს წევრი აღმოჩნდა.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ირანში 300 სასიკვდილო განაჩენი იქნა გამოტანილი. მათგან, ვინც სიკვდილით დასაჯეს, 60 უცხოეთის მოქალაქეა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

**სხვადასხვა**

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, “პახმელიის“,ზაპოის“, აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენარეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ბოლო ტური და ევროპა ხელს დაგვიქნევს

## სტატისტიკა, ფსონები

ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან 3 ჩემპიონატი შემორჩა. ეს უქმეებიც და ცხელ ზაფხულამდე ბებერი კონტინენტი ისვენებს.

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.05 სელტა-ლევანტე | 1.8 | 4.2 | 3.8 |
| 19.05 ლეგანესი-ბეტისი | 2.75 | 3.6 | 2.4 |
| 19.05 ლას პალმასი-ხირონა | 2.9 | 3.75 | 2.25 |
| 19.05 მალაგა-ხეტაფე | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 19.05 სევილია-ალავესი | 1.4 | 5.0 | 6.5 |
| 19.05 ვილიარეალი-რეალი | 2.6 | 3.8 | 2.37 |
| 20.05 ვალენსია-დეპორტივო | 1.36 | 5.5 | 7.0 |
| 20.05 ბილბაო-ესპანიოლი | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 20.05 ატლეტიკო-ეიბარი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 20.05 ბარსელონა-სოსიედადი | 1.22 | 7.0 | 10.0 |

**სელტა-ლევანტე**

სელტა: ***ტრავმ-***არავინ

ლევანტე: ***ტრავმ-***ტონო, ჩეიკ დაკური

**ლეგანესი-ბეტისი**

ლეგანესი: ***ტრავმ-***ალექსანდერ შიმანოვსკი

ბეტისი: ***ტრავმ-***ხუნიორ ფირპო, ზუჰარ ფედალი

**ლას პალმასი-ხირონა**

ლას პალმასი: ***ტრავმ-***გაბრიელ პენალბა

ხირონა: ***ტრავმ-***არავინ

**მალაგა-ხეტაფე**

მალაგა: ***ტრავმ-***რეკიო, სამუ, ზდრავკო კუზმანოვიჩი, მიგელ ტორესი, ჩორი კასტრო, ფედერიკო რიკა, ადალბერტო პენარანდა

ხეტაფე: ***ტრავმ-***მატიას ოლივეირა, მარკელ ბერგარა, მაურო არამბარი

**სევილია-ალავესი**

სევილია: ***ტრავმ-***არავინ

ალავესი: ***ტრავმ-***რუბენ დუარტე, ალვარო მედრანი, კარლოს ვიგარაი

**ვილიარეალი-რეალი**

ვილიარეალი: ***ტრავმ-***რამირო გუერა, ლეო სუარესი

რეალი: ***ტრავმ-***დანი კარვახალი

**ვალენსია-დეპორტივო**

ვალენსია: ***ტრავმ-***არავინ

დეპორტივო: ***ტრავმ-***ენეკო ბოვედა

**ბილბაო-ესპანიოლი**

ბილბაო: ***ტრავმ-***რაულ გარსია

ესპანიოლი: ***ტრავმ-***არავინ

**ატლეტიკო-ეიბარი**

ატლეტიკო: ***ტრავმ-***არავინ

ეიბარი: ***ტრავმ-***პაპაკოლ დიოპი, პედრო ლეონი, სერგი ენრიჩი

**ბარსელონა-სოსიედადი**

ბარსელონა: ***ტრავმ-***სამუელ უმტიტი

სოსიედადი: ***ტრავმ-***არავინ

**სატურნირო ცხრილი:**



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 37 | 27 | 9 | 1 | 98-29 | 90 |
| 2.ატლეტიკო | 37 | 23 | 9 | 5 | 56-20 | 78 |
| 3.რეალი | 37 | 22 | 9 | 6 | 92-42 | 75 |
| 4.ვალენსია | 37 | 21 | 7 | 9 | 63-37 | 70 |
| 5.ვილიარეალი | 37 | 18 | 6 | 13 | 55-48 | 60 |
| 6.ბეტისი | 37 | 18 | 6 | 13 | 58-58 | 60 |
| 7.სევილია | 37 | 16 | 7 | 14 | 48-58 | 55 |
| 8.ხეტაფე | 37 | 14 | 10 | 13 | 41-33 | 52 |
| 9.ეიბარი | 37 | 14 | 8 | 15 | 42-48 | 50 |
| 10.სოსიედადი | 37 | 14 | 7 | 16 | 66-58 | 49 |
| 11.ხირონა | 37 | 13 | 9 | 15 | 48-58 | 48 |
| 12.ალავესი | 37 | 15 | 2 | 20 | 40-49 | 47 |
| 13.სელტა | 37 | 12 | 10 | 15 | 55-58 | 46 |
| 14.ესპანიოლი | 37 | 11 | 13 | 13 | 35-42 | 46 |
| 15.ლევანტე | 37 | 11 | 13 | 13 | 42-54 | 46 |
| 16.ბილბაო | 37 | 10 | 13 | 14 | 41-48 | 43 |
| 17.ლეგანესი | 37 | 11 | 7 | 19 | 31-49 | 40 |
| 18.დეპორტივო | 37 | 6 | 11 | 20 | 37-74 | 29 |
| 19.ლას პალმასი | 37 | 5 | 7 | 25 | 23-72 | 22 |
| 20.მალაგა | 37 | 5 | 5 | 27 | 24-60 | 20 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.05 იუვენტუსი-ვერონა | 1.06 | 12.0 | 29.0 |
| 20.05 ჯენოა-ტორინო | 2.5 | 3.6 | 2.6 |
| 20.05 კიევო-ბენევენტო | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 20.05 სპალი-სამპდორია | 1.61 | 4.2 | 6.0 |
| 20.05 ნაპოლი-კროტონე | 1.5 | 4.75 | 5.5 |
| 20.05 კალიარი-ატალანტა | 2.9 | 3.6 | 2.3 |
| 20.05 უდინეზე-ბოლონია | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 20.05 მილანი-ფიორენტინა | 1.83 | 3.8 | 4.0 |
| 20.05 სასუოლო-რომა | 3.8 | 3.75 | 1.85 |
| 20.05 ლაციო-ინტერი | 2.5 | 3.6 | 2.62 |

**იუვენტუსი-ვერონა**

იუვენტუსი: ***ტრავმ-***ჯორჯო კიელინი, ბენედიკტ ჰოივედესი

ვერონა: ***ტრავმ-***მატია ძაგანი, მოის კინი, სიმონე კალვანო, მარსელ ბუჩელი, ბრუნო პეტკოვიჩი, ლუბომირ ტუპტა, მატია ვატოლი

**ჯენოა-ტორინო**

ჯენოა: ***ტრავმ-***ადელ ტაარაბტი, მატია პერინი, ლუკა რიგონი, დანიელ ბესა, დიეგო ლაპალტი, პედრო პერეირა, ფრანჩესკო მილიორე, სანტიაგო ჯენტილეტი

ტორინო: ***ტრავმ-***ჯოელ ობი, ლიანჩო

**კიევო-ბენევენტო**

კიევო: ***ტრავმ-***ფაბრიციო კაჩიატორე, ჯანლუკა გაუდინო, მეჰდი ლერისი

ბენევენტო: ***ტრავმ-***პიეტრო იემელო, კრისტიანო ლომბარდი, კლოდ ბილონგი, გილერმე, ლუკა ანტეი, ფილიპ ჯურიჩიჩი

**სპალი-სამპდორია**

სპალი: ***ტრავმ-***ფედერიკო მატიელო, ფედერიკო, მანუელ ლაზარი, ალექს მერე, მარკო ბორიელო

სამპდორია: ***ტრავმ-***ფაბიო ქვალიარელა, ნიკოლა მურუ

**ნაპოლი-კროტონე**

ნაპოლი: ***ტრავმ-***არავინ

კროტონე: ***ტრავმ-***აჰმად ბენალი, ანტე ბუდიმირი

**კალიარი-ატალანტა**

კალიარი: ***ტრავმ-***ლეანდრო გასტანი, ლუკა კროსტა, რიკარდო დაგა

ატალანტა: ***ტრავმ-***ანდრეა პეტანგა, ლეონარდო სპინალოზა, ლუკა რიცო

**უდინეზე-ბოლონია**

უდინეზე: ***ტრავმ-***გაბრიელ ანგელა

ბოლონია: ***ტრავმ-***ფედერიკო დი ფრანჩესკო, ჯანკარლო გონსალესი, რიკარდო ორზოლინი

**მილანი-ფიორენტინა**

მილანი: ***ტრავმ-***ანდრეა კონტი

ფიორენტინა: ***ტრავმ-***რაფიკ ზეჰნინი, ვიქტორ უგო, სიმონე ლა ფასო

**სასუოლო-რომა**

სასუოლო: ***ტრავმ-***პოლ ლიროლა, ედუარდო კოლდანია

რომა: ***ტრავმ-***ბრუნო პერესი, კოსტას მანოლასი, გრეგუარ დეფრელ

**ლაციო-ინტერი**

ლაციო: ***ტრავმ-***ჯორდან ლუკაკუ, ლუის ალბერტო, ჩირო იმობილე, მარკო პაროლო

ინტერი: ***ტრავმ-***მირანდა, რობერტო გალიარდინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 29 | 5 | 3 | 84-23 | 92 |
| 2.ნაპოლი | 37 | 27 | 7 | 3 | 75-28 | 88 |
| 3.რომა | 37 | 22 | 8 | 7 | 60-28 | 74 |
| 4.ლაციო | 37 | 21 | 9 | 7 | 87-46 | 72 |
| 5.ინტერი | 37 | 19 | 12 | 6 | 63-28 | 69 |
| 6.მილანი | 37 | 17 | 10 | 10 | 51-41 | 61 |
| 7.ატალანტა | 37 | 16 | 12 | 9 | 57-38 | 60 |
| 8.ფიორენტინა | 37 | 16 | 9 | 12 | 53-41 | 57 |
| 9.სამპდორია | 37 | 16 | 6 | 15 | 55-57 | 54 |
| 10.ტორინო | 37 | 12 | 15 | 10 | 52-45 | 51 |
| 11.სასუოლო | 37 | 11 | 10 | 16 | 29-58 | 43 |
| 12.ჯენოა | 37 | 11 | 8 | 18 | 32-41 | 41 |
| 13.ბოლონია | 37 | 11 | 6 | 20 | 40-51 | 39 |
| 14.კიევო | 37 | 9 | 10 | 18 | 35-59 | 37 |
| 15.უდინეზე | 37 | 11 | 4 | 22 | 47-63 | 37 |
| 16.კალიარი | 37 | 10 | 6 | 21 | 32-61 | 36 |
| 17.სპალი | 37 | 7 | 14 | 16 | 36-58 | 35 |
| 18.კროტონე | 37 | 9 | 8 | 20 | 39-64 | 35 |
| 19.ვერონა | 37 | 7 | 4 | 26 | 29-76 | 25 |
| 20.ბენევენტო | 37 | 6 | 3 | 28 | 33-83 | 21 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 19.05 მარსელი-ამიენი | 1.2 | 6.0 | 11.0 |
| 19.05 ლიონი-ნიცა | 1.44 | 4.6 | 5.5 |
| 19.05 ტულუზა-გენგამი | 1.5 | 4.2 | 5.5 |
| 19.05 რენი-მონპელიე | 1.91 | 3.3 | 3.8 |
| 19.05 დიჟონი-ანჟე | 2.3 | 3.5 | 2.7 |
| 19.05 ტრუა-მონაკო | 4.8 | 4.2 | 1.55 |
| 19.05 მეცი-ბორდო | 6.0 | 4.33 | 1.44 |
| 19.05 სტ.ეტიენი-ლილი | 1.5 | 4.2 | 5.5 |
| 19.05 კაენი-პსჟ | 4.2 | 3.8 | 1.7 |
| 19.05 ნანტი-სტრასბური | 1.8 | 3.5 | 4.0 |

**მარსელი-ამიენი**

მარსელი: ***ტრავმ-***როლანდო, დმიტრი პაიე

ამიენი: ***ტრავმ-***არავინ

**ლიონი-ნიცა**

ლიონი: ***ტრავმ-***არავინ

ნიცა: ***ტრავმ-***პიერ ლეეს-მელოუ, კრისტოფ ჟალე

**ტულუზა-გენგამი**

ტულუზა: ***ტრავმ-***არავინ

გენგამი: ***ტრავმ-***აბდულ კამარა

**რენი-მონპელიე**

რენი: ***ტრავმ-***ვაჰბი ჰაზრი

მონპელიე: ***ტრავმ-***ნორდი მუკიელე, ჟერომ რუსილონი, რუბენ აგულარი

**დიჟონი-ანჟე**

დიჟონი: ***ტრავმ-***ვესლი საიდი, ფედერიკ სამარიტანო, სედრიკ ვეროლი, ბენჯამინ ჟანო, ვესლი ლაუტოა, ფლორენტ ბალმო, მეჰდი აბეიდი

ანჟე: ***ტრავმ-***იოან ანდრეუ, ლოიკ პუიო, ჯეფ რაინ-ადელაიდე, ანგელო ფულინი, ბილი კეტკეოპომპონე

**ტრუა-მონაკო**

ტრუა: ***ტრავმ-***მამადუ სამასა, ტრისტან დინომე

მონაკო: ***ტრავმ-***რადამელ ფალკაო, დიეგო ბენალიო, კეიტა ბალდე, სტევან იოვეტიჩი, ადამა ტრაორე

**მეცი-ბორდო**

მეცი: ***ტრავმ-***მილან ბიშევაჩი, ჟან ჟუფრე, ბენუა ასოუ-ეკოტო, ტომას დიდილონი, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

ბორდო: ***ტრავმ-***ალექსანდერ მენდი

**სტ.ეტიენი-ლილი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ-***ოსამა ტანანე, ვინსენტ პაიო

ლილი: ***ტრავმ-***ადამა სუმარუ

**კაენი-პსჟ**

კაენი: ***ტრავმ-***არავინ

პსჟ: ***ტრავმ-***დანი ალვეში, მარკო ვერატი, ნეიმარი

**ნანტი-სტრასბური**

ნანტი: ***ტრავმ-***პრეუიცე ნაკულმა, ანდრეა გიროტო, დიეგო კარლოსი

სტრასბური: ***ტრავმ-***მარტინ ტერიე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 37 | 29 | 5 | 3 | 108-29 | 92 |
| 2.მონაკო | 37 | 23 | 8 | 6 | 82-45 | 77 |
| 3.ლიონი | 37 | 22 | 9 | 6 | 84-41 | 75 |
| 4.მარსელი | 37 | 21 | 11 | 5 | 78-46 | 74 |
| 5.რენი | 37 | 16 | 9 | 12 | 49-43 | 57 |
| 6.ნიცა | 37 | 15 | 9 | 13 | 51-49 | 54 |
| 7.ბორდო | 37 | 15 | 7 | 15 | 49-48 | 52 |
| 8.სტ.ეტიენი | 37 | 14 | 10 | 13 | 42-50 | 52 |
| 9.მონპელიე | 37 | 11 | 17 | 9 | 35-32 | 50 |
| 10.ნანტი | 37 | 13 | 10 | 14 | 35-41 | 49 |
| 11.გენგამი | 37 | 12 | 11 | 14 | 47-57 | 47 |
| 12.ამიენი | 37 | 12 | 9 | 16 | 36-40 | 45 |
| 13.დიჟონი | 37 | 12 | 9 | 16 | 53-72 | 45 |
| 14.ანჟე | 37 | 9 | 14 | 14 | 41-50 | 41 |
| 15.ლილი | 37 | 10 | 8 | 19 | 41-62 | 38 |
| 16.სტრასბური | 37 | 9 | 11 | 17 | 44-66 | 38 |
| 17.კაენი | 37 | 10 | 7 | 20 | 27-52 | 37 |
| 18.ტულუზა | 37 | 8 | 10 | 19 | 36-53 | 34 |
| 19.ტრუა | 37 | 9 | 6 | 22 | 32-56 | 33 |
| 20.მეცი | 37 | 6 | 8 | 23 | 34-72 | 26 |

# რუსთაველთა საოცარი გამარჯვება და ნაბიჯი ფინალისკენ

**რუსთავი-ქუთაისი 76:64 (ოტ)**
**(15:13, 18:19, 12:20, 18:11, 13:1)**

რუსთავსა და ქუთაისს შორის გამართული ნახევარფინალური სერიის მე-3 მატჩი მიმდინარე სუპერლიგის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული, საინტერესო და დრამატული გამოდგა. რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა ქვემოქართლურმა გუნდმა ლამის უიმედო მატჩი შემოატრიალა, ბოლო წუთზე 5-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და ოვერტაიმში გადაყვანილი ბრძოლა საბოლოოდ დამაჯერებლად – 76:64 მოიგო.

შედეგად, სერიაში რუსთავი 2:1 დაწინაურდა და მიუახლოვდა ფინალს, სადაც ქვემოქართლური გუნდი 2010 წლის შემდეგ აღარ ყოფილა, როცა ენერჯი-ინვესტის სახელით ბოლოჯერ გახდა სუპერლიგის ჩემპიონი. ფინალამდე გადასადგმელი ნაბიჯი ძალიან რთული იქნება, რადგან ქუთაისელებმა ლამის მოგებული მატჩი წააგეს და სერიის რიგით მე-4 შეხვედრაში უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ.

პირველი ნახევარი რუსთავმა 33:32 მოიგო, თუმცა ქუთაისელები შეხვედრის განახლებისთანავე დაწინაურდნენ და მეორე ტაიმისთვის განკუთვნილი 20 წუთიდან 19:50 წუთს იგებდნენ. მატჩის დასრულებამდე 5 წუთზე ნაკლები რჩებოდა, გიორგი ბარბაქაძის ზუსტი საჯარიმოთი იმერული კლუბი 57:50 რომ დაწინაურდა. ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა და ისე მოხდა, რომ მასპინძლებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს და გოგა ცეკვავას დასრულებამდე 1:50 წუთით ადრე მეორე საჯარიმოც რომ ჩაეგდო, ანგარიშს გაათანაბრებდა – 56:57. თუმცა ცეკვავამ საჯარიმოები, თანაც ზედიზედ 3, მატჩის დასრულებამდე 5 წამით ადრე ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა. სანამ ეს მოხდებოდა, ლამის განწირულმა რუსთაველებმა ტაქტიკური ჯარიმებით იმდენი ქნეს, რომ საქმე ერთ შეტევაში 3 ქულის გაბათილებამდე მიიყვანეს.

მატჩის ძირითადი დროისთვის განკუთვნილი ბოლო წუთი დაიწყო თუ არა, დეჟან



რაიტმა ორიანი ჩააგდო და ქუთაისი 5 ქულით – 61:56 დააწინაურა. ეს არა მაგრამ, როცა რუსთაველთა ამერიკელმა ფორვარდმა, ტაირელ ნელსონმა ორქულიანი აცილა და ბურთს ქუთაისელები დაეპატრონნენ, ეს თითქმის სტუმართა გამარჯვებას ნიშნავდა. ყველაფერიც აქ დაიწყო – ქუთაისელებმა საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე შეტევა გააცუდეს და სწრაფი შეტევა ნელსონის 2-ქულიანით დასრულდა – 58:61.

რუსთაველებმა პრესინგი ცადეს, მაგრამ, რომ არ გამოუვიდათ, დეჟან რაიტზე დაჯარიმდნენ, რომელმაც 1 სროლა ჩააგდო და ძირითადი დროის დასრულებამდე 22 წამით ადრე სტუმრები 4 ქულით დაწინაურდნენ. მასპინძლებმა სწრაფად შეუტიეს, თუმცა საფინალო სირენამდე 19 წამით ადრე რეზო ჩაჩანიძემ 3-ქულიანი აცილა და, წესით, აქ უნდა დასრულებულიყო ყველაფერი, მაგრამ აცილებული ადამ ბლეიზეკმა მოხსნა, რომელმაც მყისიერად შეუტია და საჯარიმოს ხაზზე აღმოჩნდა. დასრულებამდე 11 წამით ადრე ავსტრიელმა ლეგიონერმა ორივე საჯარიმო მიითვალა და ქვემოქართლელთა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა – 60:62.

რუსთაველებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, თუ არა მორიგი ტაქტიკური ჯარიმა, რომელიც დასრულებამდე 9 წამით ადრე ბლეიზეკმა რაიტზე აიღო. ქუთაისელთა ამერიკელმა ლეგიონერმა პირველი ჩააგდო, მეორე კი აუცდა და მასპინძელთა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა, გრეიგ ოსაიქიუოუენმა რომ მოხსნა, რუსთაველებს 3 ქულის გასაბათილებლად 8 წამი ჰქონდათ. ჰოლანდიელმა ბურთი ცეკვავას გადააწოდა, რომელიც უმალ ქუთაისელთა ფარისკენ დაიძრა და ქუთაისელებს რუსთაველთა უკანახაზელის ჯარიმით შეჩერება მართებდათ, რათა მას სამქულიანით ანგარიში არ გაეთანაბრებინა, თუმცა სტუმრებმა ეს ვერ მოახერხეს და მაშინ დაჯარიმდნენ, როცა ცეკვავამ 3-ქულიანი შეასრულა ბექა წივწივაძის ჯარიმა ქუთათურთათვის საბედისწერო გამოდგა. მანამდე მოგუგუნე დარბაზი გაინაბა, რათა ცეკვავას სროლისას ხელი არ შეშლოდა სამივე საჯარიმო ზუსტი აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელებს შესატევად 5 წამი ჰქონდათ, მომხდარით დაბნეულებმა დაწინაურება ვერ მოახერხეს და შეხვედრა დამატებით დროში გადაიზარდა – 63:63.

ოვერტაიმში კი ქუთაისი გატყდა. ძირითადი დროის ბოლო წუთზე განვითარებული მოვლენებისგან მიღებულ უარყოფით ზეწოლას სტუმრებმა ვერ გაუძლეს და 5-წუთეული რუსთაველებმა 13:1 მოიგეს და საბოლოოდ ამ მატჩში შემდგარი ბრძოლის შეუფერებელი, 12-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა – 76:64.

რუსთაველთაგან ლიდერობა ბლეიზეკმა და ნელსონმა გაიყვეს. ორივემ სარგებლიანობის თანაბარი კოეფიციენტი (30) დააფიქსირა. ბლეიზეკმა 26 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი და 5 ჩაჭრა მოაგროვა, ნელსონმა კი 22 ქულა, 13 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა. ქუთაისში 21 ქულით აკაკი დვალიშვილი გამოირჩა. 20 ქულა 7 მოხსნა და 6 პასი რაითმა გაიფორმა. ბექა ბექაურმა კი შეხვედრა 8 ქულითა და 14 მოხსნით დაასრულა.

სერია 3 მოგებამდეა. ანგარიში ქვემოქართლელთა სასარგებლოა – 2:1. მორიგი მატჩი ისევ რუსთავში გაიმართება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## დედამ დათვს თავისი ხუთი წლის გოგონა გამოსტაცა

ამერიკის კოლორადოს შტატში შავი დათვი თავს დაესხა ხუთი წლის გოგონას. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.



ინციდენტი კვირა დღეს მოხდა. გოგონას ეგონა, რომ ეზოში მისი ძაღლი დარბოდა და სახლიდან გამოვიდა. მალე ბავშვის დედას მისი ყვირილი შემოესმა და თავადაც გარეთ გამოვარდა. მან დაინახა დიდი შავი დათვი, რომელიც მის შვილს მიათრევდა. ქალმა რაც შეეძლო ხმამაღლა დაიყვირა, ამან მტაცებელი შეაშინა, მის გოგონას პირი გაუშვა და გაიქცა.

დათვმა გოგონას ზურგსა და ფეხზე უკბინა, თუმცა, საბედნიეროდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოები არ დაუზიანებია, ასევე გოგონას არც მოტეხილობა აღენიშნებოდა. საავადმყოფოში გოგონას 77 ნაკერი გარეთა და კიდევ რამდენიმე შიდა ნაკერი დაადეს. დაშავებულის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექიმები იმედოვნებენ, რომ გოგონას იარები მალე მოურჩება.

იმავე საღამოს ცხოველი სხვა სახლის მახლობლადაც შენიშნეს, შემთხვევის ადგილიდან 800 მეტის დაშორებით. ბუნების დაცვის უწყების თანამშრომლებმა სამი ხაფანგი დააგეს მტაცებლის დასაჭერად, თუმცა შემდეგ ხაფანგში გაბმამდე მოახერხეს მისი მოკვლა.

## ძაღლმა აუზში ჩავარდნილი მეგობარი ძაღლი გადაარჩინა

ამერიკის არიზონის შტატში ძაღლმა აუზში ჩავარდნილი მეორე ძაღლი გადაარჩინა, რომელიც იქიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდა. ეს შემთხვევა სათვალთვალო კამერამ გადაიღო.

ძაღლები სმოკი და რემუსი სახლში მარტო იყვნენ დარჩენილი. ერთმანეთთან თამაშის დროს სმოკი აუზში ჩავარდა. ის წყლიდან თავის დაღწევას ვერაფრით ახერხებდა, სანამ მას რემუსი არ დაეხმარა. ძაღლმა წყალში ჩავარდნილ მეგობარს თათი გაუწოდა, მაგრამ სმოკმა მაინც ვერ მოახერხა ამოსვლა. მაშინ რემუსი აუზში ჩახტა და ჯერ სმოკის მიეხმარა ამოსვლაში, მერე კი თავადაც ამოძვრა.

სახლის პატრონებმა სათვალთვალო კამერის ჩანაწერი ნახეს, რემუსი შეაქეს მეგობრის გადარჩენისთვის და მას „ოქროსგულიანი შეშლილი ლეკვი“ უწოდეს.



## ამერიკელი ელექტროსიგარეტის აფეთქებამ იმსხვერპლა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სენტ-პიტერსბერგის მცხოვრები ელექტროსიგარეტის აფეთქების შედეგად დაიღუპა.

ტრაგიკული შემთხვევა მაისის დასაწყისში მოხდა, როდესაც 38 წლის ტოლმაჯ უეიკმენ დ'ელია ელექტროსიგარეტს სახლში ეწეოდა. ცხედრის გაკვეთის შედეგად დადგინდა, რომ მოწყობილობის ფრაგმენტებმა მამაკაცის თავის ქალა და ტვინი დააზიანა, რის შემდეგაც შენობაში ხანძარი გაჩნდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაღუპულის მეზობელმა კვამლი შენიშნა და სახანძრო სამსახურს შეატყობინა. ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა დ'ელიას ცხედარი აღმოაჩინეს, რომლის სხეულის 45 პროცენტი უკვე დამწვარი იყო.

მამაკაცი Mech Works-ს მარკის ელექტროსიგარეტს იყენებდა, რომელსაც ფირმა Smok-E Mountain უშვებს. აფეთქების მიზეზები არ სახელდება. კომპანიის წარმომადგენელმა ვარაუდი გამოთქვა, რომ აფეთქდა არა თავად ვეიპი, არამედ ინგალატორი (ატომაიზერი) ან ელემენტი, რომელიც სხვა მწარმოებლის მიერ არის დამზადებული.

აღსანიშნავია, რომ დ'ელია პირველი ამერიკელია, რომელიც ელექტრონული სიგარეტის აფეთქებას ემსხვერპლა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოწყობილობის აფეთქებები იშვიათობას არ წარმოადგენს. 2000-დან 2016 წლამდე აშშ-ში 200-მდე ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული.

## ქალმა კოლეგებისთვის მომზადებულ ნამცხვარში დამამშვიდებელი წამალი გაურია



აშშ-ის მცხოვრები ქალბატონი სამსახურის გარეშე მას შემდეგ დარჩა, როდესაც მისი ერთ-ერთი კოლეგის სამსახურიდან წასვლის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე მიიტანა ნამცხვრები, რომლებშიც დამამშვიდებელი წამლები იყო გარეული.

ქალაქ სეილაინის პოლიცია ადგილზე იმ კომპანიის გამოძახებით მივიდა, რომელშიც 47 წლის ქალი მუშაობდა. ერთ-ერთმა მისმა კოლეგამ ხელმძღვანელობას აცნობა, რომ ის ღონისძიებაზე მოწამლული ნამცხვრების მიტანას აპირებდა და ტკბილეული ამოიღეს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ქალი დაკითხეს და დაემუქრნენ, რომ მის მიერ მიტანილი ნამცხვრის ანალიზს ჩაატარებდნენ. თავიდან იგი ნამცხვრებში დამამშვიდებელი წამლების არსებობას უარყოფდა, მაგრამ მალე ყველაფერი აღიარა. აღიარებამ ის სასჯელს გადაარჩინა, თუმცა დამქირავებელმა მისი სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

თავად კომპანიაში ინციდენტის თაობაზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეს.

## დაღუპული პოლიციელის შვილი მამის 70-მა თანამოსამსახურემ სკოლაში მიაცილა



ამერიკის ინდიანის შტატის ქალაქ სალივანში პოლიციის 70-მა თანამშრომელმა დაღუპული კოლეგის შვილი სკოლაში მიაცილა.

ოფიცერი რობ პიტსი, რომელიც ქალაქ ტერე-ჰოტის პოლიციაში მსახურობდა, 4 მაისს მკვლელობაში ეჭვმიტანილთან გამართული სროლის შედეგად დაიღუპა. მისი ხუთი წლის შვილი, დაკოტა, 10 დღის განმავლობაში სკოლაში არ დადიოდა და იქ მხოლოდ 14 მაისს დაბრუნდა. პირველი სასწავლო დღის წინ მან დედას ჰკითხა, სკოლაში მამის რომელიმე მეგობარი ხომ ვერ გააცილებდა.

ქალმა მეუღლის ნაცნობებს მიმართა და დაკოტას დახმარება ათეულობით ადამიანმა ითავა, რომლებიც მამამისთან ტერე-ჰოტში და ვიგოს ოლქში მსახურობდნენ. სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა ბავშვს გადასცეს მაისური და პოლიციელის სამკერდე ნიშანი.

— მას ნამდვილად ეცოდინება, რომ მამამისი გმირი იყო, — განაცხადა პიტსის დამ კელი ჯონსმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მეზობლებს თუთიყუშთან კამათი ოჯახური ძალადობა ეგონათ და პოლიცია გამოიძახეს

გერმანიის ქალაქ ლერახში, რომელიც შვეიცარიის საზღვრის შორიახლოს მდებარეობს, პოლიციელებმა მეზობლებისგან ოჯახური ძალადობის თაობაზე შეტყობინება მიიღეს და გამოძახების ადგილზე მისულებს თუთიყუშთან მოჩხუბარი მამაკაცი დახვდათ.

ორი დღის წინ პოლიციაში ზარი შევიდა შესაძლო ოჯახური ძალადობის თაობაზე: ზარის ავტორი იტყობინებოდა, რომ მეზობელ ბინაში უკვე დიდი ხანია ადამიანების ყვირილის ხმა ისმის. პოლიციელები გამოძახების ადგილზე მივიდნენ და კარს მიღმა ყვირილის ხმა მოესმათ. თუმცა, როდესაც სამართალდამცავები ბინაში შევიდნენ, იქ დახვდათ 22 წლის მამაკაცი, რომელიც თუთიყუშს ეკამათებოდა. მან გაოცებულ პოლიციელებს განუცხადა, რომ თავისი მეგობარი გოგონას ფრინველის ქცევით გაბრაზებული იყო და სწორედ ამიტომ უყვიროდა.



პოლიციელების თქმით, მამაკაცის ლანძღვაზე თუთიყუში ხმამაღალი ყეფით პასუხობდა. მათ ბინა დატოვეს, ვინაიდან დანაშაულის ვერანაირი კვალი ვერ შენიშნეს.

# ასტროპროგნოზი

## 19 მაისისათვის



**ვერძი** — მორიგი გამოცდის ჩაბარება გიწევთ. ურთიერთობებს ნუ გაართულებთ. **კურო** — ეცადეთ, ეს დღე მშვიდად გაატაროთ. ნუ დაწვრილმანდებით. **ტყუპები** — თავშეკავება და საღი აზრი უსიამოვნებას აგარიდებთ. აჩქარება დაუშვებელია. **კირჩხიბი** — გელით კარიერული წინსვლა. ხელმძღვანელობას თქვენი მონდომება და პროფესიონალიზმი შეუმჩნეველი არ დარჩება. **ლომი** — ნუ ეცდებით, ვინმეს რამე დაუმტკიცოთ. მაინც ვერაფერს გახდებით. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. **ქალწული** — პირად ცხოვრებაში, ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას სირთულეები შეგხვდებათ. მნიშვნელოვან საქმეს ნუ დაიწყებთ. **სასწორი** — ალკოჰოლს არ გაეკაროთ. იკვებეთ დიეტურად და ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ღრიანკალი** — სიმშვიდე, მყუდრო გარემო დადებით გავლენას მოახდენს და უკეთეს ხასიათზე დაგაყენებთ. დაიცავით დღის რეჟიმი. **მშვილდოსანი** — ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. ნუ იაქტიურებთ. **თხის რქა** — ფინანსური პროექტებისაგან თავი შეიკავეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **მერწყული** — კოლექტიურ მუშაობას მაქსიმალურად ერიდეთ. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **თევზები** — საყიდლებზე წასასვლელად ზედგამოჭრილი დღეა. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით.

## 20 მაისისათვის

**ვერძი** — მატერიალური მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. **კურო** — იფიქრეთ, გამდიდრდით სულიერად, იზრუნეთ ცოდნის არეალის გაფართოებაზე. **ტყუპები** — ცრუ პანიკას ნუ აჰყვებით, ეცადეთ, ილუზიებისგან გათავისუფლდეთ და რეალურად იაზროვნოთ. **კირჩხიბი** — ნუ გადაიღლებით. ერიდეთ ქალაქიდან გასვლას. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **ლომი** — ფინანსური მდგომარეობა უარესდება. კომერციული ოპერაციებისაგან თავი შეიკავეთ. **ქალწული** — იოლად არავის მიენდოთ. მოტყუების ალბათობა დიდია. რისკი გაუმართლებელია. **სასწორი** — ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარი საქმე გადადეთ და ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **ღრიანკალი** — მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად ნუ ენდობით. ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება არ ღირს. **მშვილდოსანი** — საყვარელ ადამიანს მეტი დრო დაუთმეთ. საღამო მეგობრებისა და ახლობლების წრეში გაატარეთ. **თხის რქა** — ვარსკვლავები გაფრთხილებენ: ზედმეტ ხარჯებს ერიდეთ. შემოიფარგლეთ მინიმალურით. **მერწყული** — გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ლოიალურობა გამოიჩინეთ. სიტუაციას ნუ გაამწვავებთ. **თევზები** — იაქტიურეთ. საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვას ნუ მოერიდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პირუტყვით მოვაჭრე ძველად; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. ძველებური ქალაქური ცეკვა; 4. აეროპორტი სინგაპურში; 5. მსუსხავი ბალახი; 8. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები უძველესი ქართული ტომები; 9. ოსური ხაჭაპური; 12. ტკბილეული, დესერტი; 14. შემაგრებული ესპანური ღვინო; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მუსლიმთა მარხვა; 7. ჭაობის მწერიჭამია მცენარე; 9. მარწყვის ერთ-ერთი ჯიში; 10. ფულის ერთეული თურქეთში; 11. სანრემოს კინოფესტივალის გრან-პრის მფლობელი თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 13. სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვების ადგილი, მაღარო; 15. იმრე კალმანის ოპერეტა; 17. ხეხილის ბაღი; 18. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 19. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 20. ლირიკული სიმღერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პასტიჩო; 2. ხევსურეთი; 3. ფეთხაინი; 5. წიქარა; 4. ბრავადა; 9. ტაუერი; 11. სუფრული; 12. იაკუძა; 14. ქურხული; 18. აგორა; 19. ფოგტი.

**შვეულად**: 4. ბოკაჩო; 5. წერეთელი; 6. ჟესტი; 7. პალიტრა; 8. ასკოტი; 10. ლხასა; 13. ჩაქურა; 15. რატუშა; 16. ნერო; 17. მახა; 20. ხოხობი; 21. ჰაშიში; 22. სარქალი; 23. ტუბერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ვეტელი; 2. ოქრო; 3. ზავენტემი; 4. ფარსი; 5. მალხაზი; 8. ტეხური; 9. ბურგუნდია; 12. ხოხობი; 14. მაკეტი; 16. ომარი.

**თარაზულად**: 1. ვილსდორფი; 6. მადაფათა; 7. ტოსტერი; 9. ბაზელი; 10. ბივა; 11. გუდიარი; 13. მუმლი; 15. დომინო; 17. კიშლაკი; 18. რონოდა; 19. მესტია; 20. პირანია.

# რუსთაველის თეატრში სანდრო ახმეტელის სავარძელი გაჩნდა

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ცნობილი ქართველი რეჟისორის, სანდრო ახმეტელის, სავარძელი გაჩნდა.




რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, მე-4 რიგის მე-12 სავარძელზე განთავსდა წარწერა:

– სანდრო ახმეტელის სავარძელი.

როგორც რუსთაველის თეატრში განმარტეს, ცნობილი რეჟისორი მისი მოღვაწეობის პერიოდში, სწორედ ამ ადგილიდან უძღვებოდა რეპეტიციებს. რუსთაველის თეატრმა ამ ჟესტით კიდევ ერთხელ პატივი მიაგო დიდ რეჟისორ სანდრო ახმეტელს და მის უკვდავ ხსოვნას.

# თემურ ჩხეიძე ახალ სპექტაკლზე მუშაობს



რეჟისორი თემურ ჩხეიძე მარჯანიშვილის თეატრში ახალ სპექტაკლზე მუშაობს. ბრაიან ფრილის ნაწარმოების მიხედვით რეჟისორი მსახიობებთან ერთად მაყურებელთან შესახვედრად ემზადება.

„თარგმანები“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომლის პრემიერაც 23 მაისს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე გაიმართება.

**თემურ ჩხეიძე:**

– კომუნიკაციის, ენობრივი და ფსიქოლოგიური ბარიერების პრობლემა, გამოჩენილ ირლანდიელ დრამატურგს ბრაიან ფრილს ისტორიისა და მითის დონემდე აჰყავს. პიესა „თარგმანების“ მოყოლას აზრი არ აქვს, ის უნდა შეიგრძნო, არც კი გაიგო... ადამიანებს ურთიერთგაგება გვჭირდება, რათა თანამედროვე ბარბაროსებმა სახლი და სული არ დაგვინგრიონ. ბედნიერი ვიქნები, თუ წარმოდგენის ნახვისას ისეთივე ემოციურ მუხტს მიიღებთ, როგორც პირადად მე „თარგმანების“ წაკითხვისას მივიღე. ამაში დათო გაბუნიას თარგმანი კიდევ უფრო შეგიწყობთ ხელს.

# მასტერი ჰომოსექსუალებზე: „მამაკაცს არასდროს ერქმევა ცოლი!“

რეპერი მასტერი, იგივე გიორგი პავლიაშვილი თავისი შემოქმედების ყველაზე აქტუალურ მოვლენებს ეხმაურება.



ამჯერად ხელოვანმა ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს სიმღერა მიუძღვნა.

„არასდროს!“ – ასეთია სიმღერის სახელწოდება, რომელიც ჰომოსექსუალებს ეძღვნებათ.

– მამაკაცს არასდროს ერქმევა ცოლი, ამას არ დავუშვებთ, შანსი აქვთ ნოლი, თუნდაც მსოფლიომ საუკუნით გაგვასწროს, აქ ეს არ მოხდება არასდროს! არასდროს! – ეს არის რეპერის სიმღერის მისამღერი, რომელსაც ინტერნეტში უამრავი მოწონება და გაზიარება აქვს.

# „დედეს“ ცნობილმა ამერიკულმა გამოცემამ ვრცელი სტატია მიუძღვნა




მარიამ ხაჭვანის ფილმს „დედე“, რომელიც არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია, ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკულმა გამოცემამ ვრცელი სტატია მიუძღვნა. „ახალი თაობა“ ამ სტატიიდან მოკლე ამონარიდს გთავაზობთ:

„ტრადიცია და ცრურწმენები თემებში, სადაც მამრობითი სქესი დომინირებს, შეიძლება ნაცნობი დრამატული საკითხი იყოს, მაგრამ ახალგაზრდა ქართველმა მწერალმა და რეჟისორმა, მარიამ ხაჭვანმა, ამ თემას ფილმში „დედე“ ახალი ხედვა მისცა.

უშგულში გადაღებულ ფილმში, რომელშიც არაპროფესიონალი მსახიობები მონაწილეობენ ხაჭვანი ახალგაზრდა გოგონას ამბავს აღწერს, რომელიც შეზღუდული თავისუფლებების, რეპრესიული კულტურის, სასტიკი გატაცების, ჩაწყობილი ქორწინების და ოჯახური მტრობის წინააღმდეგ იბრძვის.

საყოველთაო გზავნილმა ელემენტარული ამბით, რომელიც ბალადის მსგავს შთაბეჭდილებას ტოვებს, ფილმი კარლოვი ვარის კინოფესტივალზე ჟიურის პრიზის მფლობელი გახადა.

„დედე“ 1992 წელს, პოსტსაბჭოთა საქართველოში სამოქალაქო ომის შემდეგ იწყება. გეგი, რომლის როლსაც გიორგი ბაბლუანი თამაშობს და დავითი, რომლის როლსაც ნუკრი ხაჭვანი ასრულებს, არიან ძმები, რომლებიც სვანეთის მაღალ თოვლიან მწვერვალზე, სახლში ბრუნდებიან.

გეგიმ დავითის სიცოცხლე ბრძოლის ველზე გადაარჩინა და როგორც პატივსაცემი სტუმარი დინას, რომლის როლსაც ნათია ვიბლიანი თამაშობს, ქორწილშია მიწვეული. მაგრამ ბედისწერით დინას და გეგის ერთმანეთი შეუყვარდებათ ისე, რომ ერთმანეთის სახელებიც კი არ იციან.

დინა ცდილობს დაარღვიოს ჩაწყობილი ქორწინება დავითთან, რა შემთხვევაშიც ორივე ოჯახს შერცხვენა ემუქრება.

„ქალს არ აქვს სიტყვის თქმის უფლება. მაშინაც კი, თუ მთელი შენი სიცოცხლე გძულები, მაინც ჩემზე იქნები დაქორწინებული“, – უთხრა დავითმა.

დავითმა გეგის საკუთარი სიცოცხლე შესწირა, მაგრამ არა ცოლი.

ამ მაღალმთიან სოფლებში ელექტროენერგია, თანამედროვე მედიცინა და ძრავის მქონე ტრანსპორტი საკმაოდ მწირია, ზამთრის პერიოდში კი გრძელ გზაზე გადასაადგილებად ძირითადი საშუალება ცხენია, ვინაიდან გზა ხშირად იკეტება.

„დედე“ ტრადიციასა და პროგრესს შორის კონფლიქტს არ ქმნის.

ხაჭვანს მკაფიოდ აქვს შერეული ემოციები უშგულის შესახებ, რომელიც მივიწყებული ენით და დანგრეული ინფრასტრუქტურით იუნესკოს მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სიაშია შესული და რასაც ის, ჯერ კიდევ სამოთხეს უწოდებს.

ხაჭვანი ფილმში რამდენიმე დამაბნეველ საკითხსაც ტოვებს.

გარდა ამისა, ის შთამბეჭდავ შეზღუდულ რესურსებს იყენებს მოკლე სროლების, სირთულეების და ადგილობრივი პოლიციელების შეტაკებებით. დაუღალავი კონსტანტინე მინდია ესაძე კი მხატვრობაზე ზრუნავს, რომელიც ეპიკურ მთაზე წინააღმდეგობის დამცველ მამაკაცს ქმნის.“

# „იქს ფაქტორში“ მენტორებმა კონკურსანტები გადაინაწილეს



მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორი“ დასკვნით ეტაპზე გადადის. შესარჩევი ტურების შემდეგ დადგა მენტორების მიერ საუკეთესო ათეულის შერჩევის დრო, რასაც მოჰყვა კონკურსანტებისთვის მენტორების გაცნობა.

წელს „იქს ფაქტორის“ კონკურსანტების მენტორები არიან ტელეწამყვანი ნანიკო ხაზარაძე, მომღერალი თამთა გოდუაძე, მუსიკოსი დავით ევგენიძე და მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი.

„იქს ფაქტორის“ პროდიუსერების გადაწყვეტილებით, სტეფანე ბიჭების გუნდის მენტორი იქნება, თამთა გოგონების გუნდს უხელმძღვანელებს, ნანიკოს 17 წლამდელი კონკურსანტები ეყოლება, დათო ევგენიძე კი ჯგუფებთან იმუშავებს.

მენტორებმა და კონკურსანტებმა ერთმანეთი უკვე გაიცნეს. ახლა თითოეულმა მენტორმა 4 სკამის ტურში 10 კონკურსანტიდან საუკეთესო 4 უნდა შეარჩიოს, ხოლო 2 სკამის ტურში კი საუკეთესო 4-დან 2 რჩეულის დატოვება მოუწევს.

შერჩეული 2-2 კონკურსანტის დატოვების შემდეგ, მენტორები და „იქს ფაქტორის“ მონაწილეები უკვე პირდაპირ ეთერში შეხვდებიან მაყურებელს და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი გახდება „იქს ფაქტორის“ ტიტულის მფლობელი.

# მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმი ახალ შენობაში განთავსდება



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმი 2019 წლიდან ახალ შენობაში განთავსდება.

ძველი კინოთეატრის შენობის ბაზაზე, ახალი, თანამედროვე სტანდარტების არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობა უკვე დაიწყო. სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადად 18 თვეა განსაზღვრული.

მცხეთის ყოფილი კინოთეატრი 1960-იან წლებში აიგო არქიტექტორ გიორგი ჯაბუას ავტორობით და XX საუკუნის არქიტექტურის საინტერესო და ღირებულ ნიმუშს წარმოადგენს. წლების განმავლობაში უფუნქციოდ დარჩენილი შენობა 2015 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა. ამ პერიოდიდან უწყება მის არქეოლოგიურ მუზეუმად ადაპტაციის პროექტზე მუშაობს.

პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება და მისი ღირებულება 8,5 მილიონ ლარს აჭარბებს. ძველი ნაგებობის რეკონსტრუქციის შედეგად, შენობაში განთავსდება საგამოფენო და საკონფერენციო სივრცეები, ფონდსაცავები, კაფეტერია და სხვა დამხმარე ვიზიტორთა თუ ადმინისტრაციული სათავსები.

მუზეუმის პროექტი კულტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის ერთობლივი მუშაობით მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე რეგიონული განვითარების მესამე პროგრამის ფარგლებში მომზადდა. პროექტი შემუშავდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მეთოდოლოგიური მითითებების მიხედვით, რომელშიც მუზეუმოგრაფიის ყველა თანამედროვე სტანდარტია დაცული. პროექტის ფარგლებში არსებული შენობის სივრცეში ინტეგრირებული არქეოლოგიური ძეგლის „მცხეთის კარიბჭის“ საკონსერვაციო სამუშაოებიც ჩატარდება. მუზეუმის მიმდებარე საზოგადოებრივი სივრცე კეთილმოეწყობა და აღიჭურვება გარე განათებით, ავტოსადგომით და სხვა ინფრასტრუქტურული ელემენტებით.

თანამედროვე სამუზეუმო სივრცეში განთავსდება ის 23 ათასამდე არქეოლოგიური არტეფაქტი, რომლებიც ამ დრომდე მცხეთის გამგეობის შენობის საცავებში ინახება. ახალ მუზეუმში დაიდებს ბინას სამუზეუმო კოლექციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ძვირფასი ლითონების კოლექციაც, რომელიც ამჟამად ეროვნულ მუზეუმშია დროებით წარმოდგენილი.

# გოგი ჩლაიძეს ხელოვნების ქურუმი მიენიჭა



კომპოზიტორ გოგი ჩლაიძეს კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო ხელოვნების ქურუმი მიენიჭა.

ჯილდო მას მინისტრმა ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადასცა.

გოგი ჩლაიძე კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ასწავლიდა ფორტეპიანოს სხვადასხვა მუსიკალურ სასწავლებლებში, იყო ახმეტელის თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე, სახელმწიფო ტელე-რადიო მაუწყებლობის ახალგაზრდული გადაცემების მუსიკალური რედაქციის რედაქტორი, თბილისის თეატრ „ერქოს“ მუსიკალური ხელმძღვანელი. უკვე წლებია მუშაობს პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მთავარ დირიჟორად.

კომპოზიტორს დაწერილი აქვს სიმფონიური ნაწარმოებები, სამი სიმფონიური მინიატურა, ვოკალურ-სიმფონიური და საგუნდო ნაწარმოებები, სამი საბავშვო გუნდი ფორტეპიანოს თანხლებით, კამერულ-ინსტრუმენტული და კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები. ასევე ნაწარმოებები მუსიკალური თეატრისათვის „დარისპანის გასაჭირი“, „ღვთაებრივი კომედია“, მუსიკა კინოფილმებისათვის. მისი შემოქმედებიდან მსმენელში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს კომპოზიცია ქართული ფილმიდან „გარიგება“, რომელსაც გოგა პიპინაშვილის გმირი მიტო ფორტეპიანოზე ასრულებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი



### ციყვებმა მანქანაში 23 კილოგრამი გირჩი მოაგროვეს

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ გეილორდში მამაკაცმა საკუთარი ავტომობილის ძრავის განყოფილებაში კაპოტის ქვეშ 23 კილოგრამი ნაძვის გირჩი აღმოაჩინა.

კელენ მური სამსახურში მიდიოდა, როდესაც მისი ავტომობილის კონდიციონერმა უცნაური ხმების გამოცემა დაიწყო. მან მანქანა გააჩერა, კაპოტის ქვეშ შეიხედა და გირჩები დაინახა. მათ ძრავის განყოფილებაში მთელი თავისუფალი სივრცე ჰქონდათ ამოვსებული. მამაკაცმა ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო, კაპოტი დახურა და გზა გააგრძელა.

სამსახურში მისულმა ეს ყოველივე თავის ახლობელსა და კოლეგას გეიბ ავრის აჩვენა. მამაკაცებს 45 წუთი დასჭირდათ გირჩების ამოსაღებად.

– ძრავის სიმხურვალისგან ისინი გაიბერნენ და ამიტომ მათ ამოსაღებად წვალება დაგვჭირდა, – განაცხადა ავრიმ.

მურმა მანქანა თვენახევრის წინ იყიდა და მაშინ მასში გირჩები არ ყოფილა. ის და მისი ახლობელი ფიქრობენ, რომ ისინი იქ ციყვებმა მიიტანეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4400 | ევრო — 2.8768 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2925 | 100 რუსული რუბლი — 3.9369 |

## ამინდის პროგნოზი 19 მაისისთვის




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი" დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს, სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე ვადაში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას" თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## პაულინიომ ტრავმა მიიღო



ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთმა ძირითადმა ფეხბურთელმა პაულინიომ ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, მან მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვოს.

პაულინიომ ტრავმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანში შეძლებს ის მოედანზე გასვლას.

პაულინიოს არყოფნა ბრაზილიის ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან ის მუდმივად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში.

პაულინიო შარშან გახდა ბარსელონას მოთამაშე და წლევანდელი სეზონი მან საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა. ყველა ტურნირში მის ანგარიშზე 11 გატანილი გოლია.

## ისლამური სახელმწიფო მსოფლიო ჩემპიონატს დაემუქრა




ტერორისტულმა ორგანიზაციამ ისლამურმა სახელმწიფომ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც ისინი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე ტერაქტების მოწყობას აპირებენ. მსგავსი მუქარები ადრეც იყო, ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს რუსეთში დიდი ყურადღება მართებთ.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე უკვე თვეზე ნაკლები დარჩა და მალე მთელი საფეხბურთო სამყარო რუსეთში შეიკრიბება.

ტურნირის ორგანიზატორების თქმით, მონაწილეების და ყველა ადამიანის უსაფრთხოება მაქსიმალურად დაცული იქნება.

## ხოსეპ გვარდიოლამ მანჩესტერ სიტისთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

მანჩესტერ სიტიმ ხოსეპ გვარდიოლასთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და გვარდიოლა სიტიში 2021 წლის ჩათვლით იმუშავებს.

პეპი ისევ ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი იქნება პრემიერლიგაში. გვარდიოლამ წელს წარმატებას მიაღწია და პრემიერლიგა მოიგო, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში მას ამჯერადაც ხელი მოეცარა, ისევე, როგორც წინა წელს.

გვარდიოლას თქმით, მომავალ სეზონში მისი გუნდის მთავარი მიზანი სწორედ ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება.

## ბუფონი შესაძლოა პსჟ-ში ვიხილოთ



ბუფონი შაბათს იუვენტუსში ბოლო შეხვედრას ჩაატარებს, მაგრამ შესაძლოა მან კარიერა არ დაასრულოს, რადგან მას სხვა გუნდები იწვევენ. ამ გუნდებს შორის ფრანგული პსჟ-ც არის, რომელიც ბუფონს დიდ ანაზღაურებს სთავაზობს. ბუფონის თქმით, ის გადაწყვეტილებას მალე მიიღებს და ეს ყველასთვის ცნობილი გახდება.

ამჟამად ბუფონი 40 წლის არის და ბევრი საფეხბურთო სპეციალისტი ფიქრობს, რომ დროა, მან კარიერა დაამთავროს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორესეუბნება:

– გუშინ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ვიყავი, დავდიოდი დარბაზებში და გულს უხაროდა...

– მართლა, და რატომ?

– თურმე ბავშვობაში არც ისე ცუდად ვხატავდი!

●●●

ქერათმიანი ლამაზმანი ბაზარში დადის და ხედავს, ერთი მამაკაცი ვაშლის კურკებს ყიდის. ქალი ეკითხება:

– რა, ვინმე ყიდულობს თქვენს კურკებს?

– რა თქმა უნდა, ვაშლის კურკები ხომ გონებას ხსნის და ინტელექტს ამაღლებს.

– ეგ როგორ?

– იყიდეთ და ნახავთ. ათი ცალი 20 ლარი ღირს.

ქალმა კურკები იყიდა, გადაყლაპა და გამყიდველს ეუბნება:

– არადა, 20 ლარად რამდენი კილოგრამი ვაშლი მომივიდოდა, მათში კი რამდენი კურკა იქნებოდა.

– აი, ხედავთ, უკვე როგორ გაგეხსნათ გონება.

– მართლაც, კიდევ ათი ცალი მომეცით!

●●●

კაცი ქალთან ერთად რესტორანში ზის. ოფიციანტი ეკითხება:

– რას შეუკვეთთ?

მამაკაცი ეუბნება:

– რამე ეგზოტიკური, ზღვის პროდუქტებისგან.

– გველთევზა?

– მაგან თვითონ შეარჩიოს.

●●●

ცოლ-ქმარი სადილობს. მოულოდნელად ცოლმა წვნიანი გადაისხა და უკმაყოფილოდ მეუღლეს ეუბნება:

– თფუი! ღორივით გამოვიყურები!

– ჰო, თანაც წვნიანიც რომ გადაისხი!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. მე-18-19 საუკუნეების ფრანგი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე; 3. რამე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 4. სწრაფმავალი მოტორიანი სპორტული ნავი; 5. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 9. სამელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა; 11. ძვირფასი თვლებით შემკული ქალის გვირგვინი; 12. „ფორმულა-1"-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 14. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 18. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 19. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკის სამხედრო საზღვაო-საჰაერო ბაზა.

**თარაზულად:** 4. ღვინის ვაჭარი ძველად; 5. ჩინური ფაიფური; 6. ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 7. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონის" ფეხბურთელი; 8. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 10. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 13. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 15. აეროპორტი პრაღაში; 16. თხუნელას მეორე სახელწოდება; 17. ქართლში გავრცელებული ფრანგული ვაზის ჯიში; 20. ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი; 21. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 22. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუმტარი ნივთიერებით; 23. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*